ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს

№91 (1601)

17-19 სექტემბერი, 1997 წელი

არ გამიკვირდება, ერთ დილას მეფეთმეფე დავითმა თავის ბედაურთან ერთად რომ მიატოვოს კვარცხლბეკი და წყევლა-კრულვის წერილი დაგიტოვოთ თქვენ...

იხილეთ მეექვსე გვ-ზე.

შვილმკვდარი დედის ჩივილი

დედის მტკიცებით მისი შვილის მკვლელს ასლან აბაშიძე იფარავს

იხილეთ მესამე გვ-ზე.

ბოროტმოქმედები ადგილზე იქნენ ლიკვიდირებულნი

„საუკუნის“ ოპერაცია ზეროში

იხილეთ მეორე გვ-ზე.

ჯაბა იოსელიანი: „იმელში“ მომხდარმა აფეთქებამ ხელი შეუშალა ჩემს გადაწყვეტილებას ზერად აღკვეთის შესახებ

იხილეთ მეხუთე გვ-ზე.

ეპისკოპოსმა დასწყევლა მთელი სოფელი

იხილეთ მეხუთე გვ-ზე.

„საუკუნის“ ოპერაცია ბეჩოში

რომელი პოლიციელი წავა ხვალ მსგავს «ღონისძიებაზე?»

ამ ერთი წლის წინათ სვანეთში, ამ ულამაზეს კუთხეში, მოგზაურობა ჯოჯოხეთში მოხვედრის ტოლფასი იყო. არა, მთები ისევ ლამაზად და ამაყად გამოიყურებოდა, ბუნება ისევ ატკბობდა თვალს, მაგრამ ხალხი ისეთ გაჭირვებაში გახლდათ და გახლავთ ჩავარდნილი, რომ გასვენებებში ნისიად აწერინებენ სამ ლარს და ოჯახის თითოეულ წევრს, მიცვალებულის გასაპატიოსნებლად მისულს, სახლიდან თითო პური მიაქვს. მხოლოდ ეს დეტალიც საკმარისია იმისათვის, რომ თვალნათლივ წარმოიდგინოთ, რა დღეშია ეს ამაყ კუთხე, სტუმართმოყვარე ხალხით დასახლებული.

ამ გაჭირვებას იტანდა სვანი კაცი, ოღონდ შარშანდელი და იმის წინანდელი ნუღარ გაგმეორდებაო. მაშინ კი ასე იყო საქმე: გზებზე ავტომატგადაკიდებული დადიოდა ხალხი, სათიბში, ყანაში ავტომატის და სხვა იარაღის სრული აღჭურვილობით მიეშურებოდა, ქორწილში ავტომატიანი ჯელები ისხდნენ და, წარმოიდგინეთ, რამდენი უბედურება დატრიალდებოდა კბილებამდე შეიარაღებული დამთვრალი ხალხის პატარა შეკამათების დროსაც კი. მაგრამ ეს არ იყო მთავარი უბედურება. სვანეთის გზებზე თითქმის ყოველ მოსახვევში ჩამსხდარნი იყვნენ ყაჩაღები. კლდის ქიმს ამოფარებულ, სახეახვეულ ერთ ყაჩაღს შეეძლო მთელი კოლონა გაეჩერებინა და მძღოლები, საუკეთესო შემთხვევაში, ფეხით გაესტუმრებინა. წინააღმდეგობის გაწევა სიკვდილს ნიშნავდა. ართმევდნენ არა მხოლოდ მანქანებს, არამედ ავტობუსში მყოფ მგზავრებს ფულს, ოქროულობას, კარტოფილსაც კი.

სვანეთში ომონის ასვლის შემდეგ ყოველივე ეს აღიკვეთა. ხალხმა ამოისუნთქა. ყაჩაღებმა ძირითადად ტყეს შეაფარეს თავი. და, აი, ერთი წლის შემდეგ კვლავ დაიწყო...

სექტემბრის დასაწყისში დაყაჩაღებულ იქნა მულახიდან ზუგდიდის მიმართულებით მიმავალი ავტობუსი სოფ.ლატალთან. მგზავრებს 200 ლარი შეაგროვებინეს, ქვაზე დაატოვებინეს (ასეთია კლდის ქიმს ამოფარებული ყაჩაღის ბრძანება) და „მშვიდობიანად“ გაისტუმრეს.

სექტემბრის თვის დასაწყისშივე ბეჩოში მცხოვრებმა ორმა ძმამ, ძებნილებმა და მთელს სვანეთში უკვე განთქმულმა ახალგაზრდებმა, უშვანებმა ავტომატური იარაღით, ანგარიშსწორებაში, დაცხრილეს „ვილისი“ და 8 ადამიანი დაჭრეს, მათ შორის ქალები.

ეტყობა, ამ სისხლისღვრის გამო აღშფოთებულმა სამეგრელოს რეგიონალურმა პოლიციამ გადაწყვიტა ბოლოს და ბოლოს წერტილი დაესვა ქაოსისათვის. ძმებ უშვანების „ანგარიშზე“ მანამდეც იყო არაერთი მკვლელობა და დაჭრა. ისინი სოფელში, საკუთარ სახლში იყვნენ გამაგრებულნი და პოლიცია ვერ ბედავდა მისვლას (უფრო დიდი ციტადელია სოფ.ეწერში, სადაც უშვანების მოწინააღმდეგე შეიარაღებული აფრასიძეები არიან გამაგრებულნი).

და აი, გადაწყვიტეს მათი აყვანა. ვინაიდან პოლიციას უშვანები სახლში არ დახვდათ, გადავიდნენ მეზობლის ეზოში ბინის მოსაჩხრეკავად, იქიდან კი წვიმასავით წამოვიდა ტყია. დაჭრილია 8 პოლიციელი, მოკლულია 4 პოლიციელი. მაშველმა ძალამ ბოლოს ძმები უშვანებიც ჩახოცა. ასე დამთავრდა ეს ტრაგიკული ისტორია, მაგრამ საკითხავია, ამ ოპერაციას რომელი ბრძენთაბრძენი ხელმძღვანელობდა?

ძმები უშვანები თავისუფლად მიმოდიოდნენ სოფელში, არც ჭირს აკლდნენ და არც ლხინს. ნუთუ არ შეიძლებოდა მათი აყვანის უფრო გონივრულად მოფიქრება და ამდენი ადამიანის სიცოცხლის დაზოგვა? რომელი პოლიციელი წავა ხვალ მსგავს „ღონისძიებაზე?“

სვანეთში მიმავალმა პოლიციელებმა წინასწარ არ იცოდნენ ჩასატარებელი ოპერაციის შესახებ

„სამოცი კაციდან არცერთმა ჩვენთაგანმა არ იცოდა, რაზე მიდიოდა. მხოლოდ ადგილზე შევიტყეთ, რომ ნარკოტიკების ამოსაღებად წავედით“, – განუცხადა პრაიმ-ნიუსს მესტიაში 14-15 სექტემბერს პოლიციელებსა და მაფიოზურ კლანს შორის მომხდარი შეტაკებისას გულ-მკერდის არეში დაჭრილმა სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომელმა, კობა იზორიამ.

15 სექტემბერს 7 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა შეტაკება მესტიელი ძმების უშვანების მაფიოზურ კლანსა და პოლიციას შორის. უშვანებმა პოლიციას ცეცხლი გაუხსნეს ყუმბარმტყორცნებიდან და ავტომატებიდან. შსს პრეს-ცენტრის ცნობით, პოლიციამ ადგილზე გაანადგურა ძმები უშვანები. დამნაშავეთა სახლიდან ამოიღეს 2 ავტომატი, ყუმბარმტყორცნი, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები, „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი, „კარაბინი“ და საბრძოლო ვაზნები.

კობა იზორიამ პრაიმ-ნიუსთან საუბარში უშვანების მაფიოზურ კლანთან შეტაკება აღწერა: „ზუგდიდიდან 14 სექტემბერს, დაახლოებით საღამოს 7 საათზე გავემგზავრეთ. კოლონაში სამოც კაკამდე ვიყავით, მათ შორის სამეგრელოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული პოლიციელები. ოპერაციას შს სამეგრელო-ზემოსვანეთის სამხარეო სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი ალეკო კუხლაშვილი ხელმძღვანელობდა. 60 კაცი სხვადასხვა სოფლებში დანაწილდა. დაახლოებით 20 კაცი კუხლაშვილის მეთაურობით ბეჩოში შემავალ დასახლებულ პუნქტში დარჩა. ამ პუნქტს თუ სოფელს უშვანარს ეძახიან, რადგან უშვანებითაა დასახლებული. უშვანარზე განსაკუთრებული აქცენტი იმიტომ გაკეთდა, რომ შეტაკებაში ძმები უშვანები მოქმედებდნენ, ორიდან ერთი უშვანი მკვლელობისათვის იძებნებოდა“.

პრაიმ-ნიუსის კითხვაზე, აქვს თუ არა რაიმე კავშირი უშვანების კლანს აფრასიძეების კლანთან, იზორიამ უპასუხა, რომ არასწორია აზრი, თითქოს უშვანები აფრასიძეებთან იყვნენ შეკრული. პირიქით, ისინი მოსისხლე მტრები არიან – ერთ-ერთმა უშვანმა აფრასიძე მოკლა.

„გამთენიისას ოპერაციის ჩასატარებლად ვემზადებოდით. ვიცოდით, სადაც იყვნენ უშვანები. ეტყობა, იმათაც შეიტყვეს ჩვენი იქ ყოფნის შესახებ და ცეცხლი გაგვიხსნეს. რამდენი იყვნენ. ვერ ვხედავდით, მხოლოდ ისროდნენ. ყველაფერი მომენტალურად მოხდა. სასწრაფოდ გამოვიძახეთ დამატებითი ძალა, მანამდე ოთხი თანამშრომელი დაიღუპა, ამდენივე დაიჭრა. ავტომატებით ვიყავით შეიარაღებული, წამალი არ გვყოფნიდა, ისინი კი სულ ისროდნენ. დამატებითი ძალა („ომეგა“) თბილისიდან ხაღამოს ჩამოვიდა, მე უკვე დაჭრილი ვიყავი და აღარაფერი მახსოვს“, – თქვა კობა იზორიამ. (პრაიმ-ნიუსი)

ივერი ჭელიძე:

პოლიციის დაუფიქრებელმა ოპერაციებმა შეიძლება დაძაბულობა გამოიწვიოს მესტიისა და ზუგდიდის რაიონების მაცხოვრებლებს შორის

პოლიციის გუშინწინდელი ოპერაციის მსგავსმა დაუფიქრებელმა ქმედებებმა შეიძლება ზუგდიდისა და მესტიის რაიონების მოსახლეობას შორის სერიოზული დაძაბულობა გამოიწვიოს, – თქვა პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე დეპუტატმა ივერი ჭელიძემ. იგი მაჟორიტარული სიითაა არჩეული მესტიის რაიონიდან.

მისი თქმით, აშკარაა, რომ გუშინწინდელი ოპერაცია არ იყო შეთანხმებული ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ამიტომაც გამოიღო ასეთი სავალალო შედეგი.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი, ძებნაში მყოფი ძმების უშვანების დასაკავებლად ჩატარებული ოპერაციის შედეგად ორივე დამნაშავე და 4 პოლიციელი დაიღუპა. დაჭრილია კიდევ სამი პოლიციელი, ერთი მათგანი მძიმე მდგომარეობაშია.

მსგავსი ოპერაციების ჩატარება აუცილებლად უნდა შეთანხმდეს სვანეთის აქტივთან და პოლიტიკურ ორგანიზაციასთან „ლემი“, წინააღმდეგ შემთხვევაში, გართულდება საბოლოო სურველი შედეგების მიღწევა – თქვა ჭელიძემ.

ჭელიძემ უარყო შსს-ის ოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ოპერაცია ნარკოტიკების პლანტაციების განადგურების მიზნით ჩატარდა. მისი თქმით, ოპერაცია სწორედ ძებნაში მყოფი ორი დამნაშავის დასაკავებლად ჩატარდა.

დღეისათვის სვანეთში ბევრმა დამნაშავემ ნახა თავშესაფარი – თქვა ჭელიძემ. გარდა ამისა, ამ რეგიონში უამრავმა ცეცხლსასროლმა იარაღმა მოიყარა თავი, რომელიც 1993 წელს აფხაზეთიდან უკანდახეულმა სამთავრობო ჯარმა დატოვა – თქვა მან. (პრაიმ-ნიუსი)

ბოროტმოქმედები ადგილზე იქნენ ლიკვიდირებულნი

შსს-დან „იფრინდა“-ს აცნობეს 15 სექტემბერს, მესტიის რაიონში, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მომხდარი შეტაკების დეტალები.

სამინისტროს ინფორმაციით, ოპერატიულ-სამძებრო და პროფილაქტიკური ღონისძიება, მესტიის რაიონში, მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებში მოყვანილი და ველურად გაზრდილი ნარკოტიკების შემცველ მცენარეთა ნათესების განადგურების გარდა, ითვალისწინებდა სოფ.ბეჩოში მცხოვრებ კახაბერ და გოჩა უშვანების დაკავების ღონისძიებას. აღნიშნული პირები იძებნებოდნენ 1994 წლიდან და ეჭვმიტანილნი იყვნენ პოლიციის მუშაკისა და მოქალაქის მკვლელობაში.

შეიარაღებული შეტაკება, რომელიც პოლიციასა და ბოროტმოქმედებს შორის 15 სექტემბერს, დილის 7 საათზე დაიწყო, 7 საათის განმავლობაში გაგრძელდა. უშვანებმა გამოიყენეს ყუმბარმტყორცნი, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები, ავტომატური იარაღი, სხვადასხვა სახის ხელყუმბარები.

შეტაკების შედეგად დაიღუპნენ სამეგრელოს და ზემო სვანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს ინსპექტორები გოჩა ქაშბაძე და დავით ლოლუა, ზუგდიდის პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების ინსპექტორი გელა ღურწკაია და სენაკის პოლიციის განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი აბესალომ საჯაია.

სხეულის დაზიანებები მიიღეს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა, ფოთის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების თანამშრომლებმა თამაზ ნადარაიამ და ნაპო გეგენავამ, სენაკის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორმა ფრიდონ ადანაიამ და ზუგდიდის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების ინსპექტორმა კობა იზორიამ.

საპასუხო სროლის შედეგად ადგილზე იქნენ ლიკვიდირებულნი კახაბერ და გოჩა უშვანები. მათი სახლიდან ამოღებულია ხელყუმბარები, ნაგანის სისტემის რევოლვერი, კარაბინი, სხვადასხვა საბრძოლო ვაზნები.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიებას აწარმოებს მესტიის რაიონის პროკურატურა. (იფრინდა)

გიხაროდეთ, ქალაქის მერებო, თქვენი თანამდებობების საკითხი ხალხის ხელში ისევ არ არის...

გუშინ, პარლამენტის დილის სხდომაზე კენჭი ეყარა „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ კანონპროექტის მეხუთე პუნქტის იმ ვარიანტს, რომელიც თავდაპირველად იყო ფორმულირებული. ეს მუხლი ითვალისწინებს რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქებში მერების დანიშვნას პრეზიდენტის მიერ. კენჭისყრის შემდეგ გავიდა აღნიშნული ვარიანტი.

როგორც ცნობილია, „სახალხო“ ფრაქციას ჰქონდა ამ მუხლის ალტერნატიული ფორმულირება, რომელშიც საუბარია საკრებულოების“ არჩევაზე. ფრაქციის მიერ შეთავაზებული ვარიანტი კენჭისყრაზე არ დადგა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ზ.ჟვანიამ დაავალა იუსტიციის სამინისტროს მეორე მოსმენისათვის კანონპროექტის გადახედვა. (იფრინდა)

დარჩენილი ქართველი მძევლების ბედი დღეს გადაწყდება

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ზუგდიდის განყოფილების თანამშრომელმა, გუშინ, „იფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში უარყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, თითქოს 15 სექტემბერს გალის რ-ნის სოფ.ჭუბურხინჯში გაიმართა რიგგარეშე ოთხმხრივი შეხვედრა.

წყაროს თქმით, აფხაზურმა მხარემ უარი განაცხადა შეხვედრაზე მოსვლაზე, რადგან მათი განცხადებით, ქართულმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს ცრუ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 13 სექტემბერს აფხაზთა დაახლოებით 15-20 კაციანმა შეიარაღებულმა ჯგუფმა, რომელსაც მეთაურობდნენ გალის აფხაზური მილიციის სამძებროს უფროსი ვალერი აგრბა და ტერორისტებთან მებრძოლი ჯგუფის უფროსი გივი ეშბა, დააკავა 30 ადამიანი.

იმავე წყაროს „იფრინდა“-ს განუმარტა, რომ დაკავებულია არა 30, არამედ 11 ადამიანი, საიდანაც 6 ზუგდიდის რ-ნის სოფ. შამგონადანაა, ხოლო 5 გალის რ-ნის სოფ.თაგილონის მკვიდრნი არიან. მისივე თქმით, დღეისათვის მძევლად დარჩენილია მხოლოდ 2 ადამიანი – ლიფტერ და ზაზა ხუბუები. მათი ბედი გადაწყდება 17 სექტემბერს, გალის რ-ნის სოფ. ჭუბურხინჯში, სადაც მორიგი ოთხმხრივი შეხვედრა გაიმართება. გარდა ამ საკითხისა, შეხვედრაზე საუბარი იქნება ბოლო ერთი კვირის მანძილზე შექმნილი ვითარების შესახებ. (იფრინდა)

აფხაზური მხარე კვლავ უარზეა

აფხაზური მხარე კვლავ უარს ამბობს 14 სექტემბერს დაკავებული ზუგდიდის რაიონის ორი მაცხოვრებლის გათავისუფლებაზე, – აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს ძალისმიერ სტრუქტურებთან დაახლოებულმა კომპეტენტურმა წყარომ.

14 სექტემბერს აფხაზურმა მილიციამ ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონადან 7 ქართველი მოქალაქე გაიტაცა. გატაცების მიზეზი „თხილის ბიზნესი“ გახდა, რასაც გატაცებულები ეწოდნენ.

ოფიციალურ წყაროს ცნობით, აფხაზური მხარის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს ზუგდიდის ძალისმიერ სტრუქტურებთან შეხვედრაზე და მიზეზად ის მოიტანეს, რომ „საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დეზინფორმაციას ავრცელებენ ტყვედ აყვანილთა რაოდენობის შესახებ“. გარდა ამისა, აფხაზური მხარე არ აპირებს ქართველების გათავისუფლებას, ვიდრე არ „დაადგენს, იღებდნენ თუ არა ისინი მონაწილეობას აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში“.

გუშინ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში დაგეგმილი იყო მორიგი ოთხმხრივი შეხვედრა, რომელზეც სოფელ შამგონას მკვიდრი ქართველი ეროვნების ორი მოქალაქის ქართული მხარისათვის გადაცემის საკითხი უნდა განხილულიყო. (პრაიმ-ნიუსი)

შვილმკვდარი დედის ჩივილი

გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორს
ქობულეთის რაიონის სოფ.ხუცუბანში მცხოვრები თინა
უსუფის ასულ ვერულიძე-მოწყობილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1997 წლის 5 სექტემბერს, გაზეთ „7 დღის“ რედაქციამ №68-ში დასტამბა ჩემი შვილის განზრახ მკვლელობასთან დაკავშირებული სტატია. აღნიშნული გაზეთი დაყაჩაღებული იქნა აჭარის ხელისუფლების მითითებით.

ყველა საგამყიდველო ჯიხურებში აჭარის ტერიტორიაზე ამ ნომრის ყველა გაზეთები დაიტაცეს და დააყაჩაღეს, იმის გამო, რომ მშრომელ მოსახლეობას სწორი ინფორმაცია არ გაეგო.

აღნიშნული გაზეთი დააყაჩაღა აჭარის რესპუბლიკის სამხედრო პროკურორმა ვერულიძემ და ქობულეთის საბაჟო პოლიციის უფროსმა რომან შუქრის ძე ვერულიძემ.

ყოველივე აქედან გამომდინარე, გამწარებული მრავალშვილიანი დედა, ჩვენი სანათესაო და აჭარის მშრომელი მოსახლეობა გთხოვთ: განმეორებით დაბეჭდოთ იგივე წერილი თქვენს გაზეთში. ვნახოთ, გაბედავენ თუ არა გაზეთ „საქართველოს“ დაყაჩაღებასაც. ვფიქრობთ, თქვენი გაზეთი მაინც მიაღწევს მკითხველამდე.

გთხოვთ დააკმაყოფილოთ ჩვენი თხოვნა.

უღრმესი პატივისცემით

თ.ვერულიძე
15.09.97 წ.

ქობულეთელი შოთა მოწყობილის ოჯახი თავშესაფარს საქართველოს სხვა რეგიონში ითხოვს

შოთა მოწყობილის მტკიცებით მისი შვილის მკვლელს ასლან აბაშიძე იფარავს



ვლადიმერ მოწყობილი
დაბადებული 1976 წელს, სწავლობდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, იყო წარჩინებული სტუდენტი. 1996 წელს მოკლა ასლან აბაშიძის მეუღლის ნათესავმა.

ქობულეთელი შოთა მოწყობილი წელიწადია, თავად იძიებს შვილის, 20 წლის ვლადიმერ მოწყობილის მკვლელობას. როგორც „7 დღეს“ განუცხადა: „გამოძიების შედეგები აძლევს საშუალებას თქვას, რომ მკვლელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის ასლან აბაშიძის ცოლის ნათესავია და მკვლელობის ოფიციალურ გამოძიებას სწორედ ასლან აბაშიძე ამუხრუჭებს.

1996 წლის 30 იანვარს ვლადიმერ მოწყობილი ჩხუბის დროს მოკლა ქობულეთის საბაჟოს პოლიციის უფროსის ვაჟმა მანუჩარ ვერულიძემ.

ჩხუბში მონაწილეობდნენ: საბაჟოს უფროსის რომან ვერულიძის მდივანი და მანუჩარ ვერულიძის ძმაკაცები. მოწყობილის გვამი ჩადეს მანქანაში და ხიდიდან მდინარეში გადააგდეს, საბაჟოს უფროსის ინიციატივით, რათა დაემალათ განზრახ მკვლელობის ფაქტი, ვითომ მოწყობილი ავარიის შედეგად წყალში დაიღრჩო.

განზრახ მკვლელობის გამოძიება კანონების უხეში დარღვევით აწარმოა ბათუმის სამხედრო პროკურატურამ ვერულიძის და დანელიას ხელმძღვანელობით. მათ განზრახ მკვლელობის ფაქტი მიჩქმალეს, თუმცა არც ავტომანქანის მფლობელი დაუსჯიათ, არც სხვა ბოროტმოქმედნი. საქმე 11 თვის განმავლობაში ჩამოწერილი იყო.

სწორედ ამის შემდეგ მოკლულის მამა შოთა მოწყობილი, იძულებული გახდა თავად ეწარმოებინა გამოძიება, რადგან შემთხვევით ჩხუბს შესწრებულმა ახლობელმა ამბავი მოუტანა, რომ მისი შვილი ავარიაში კი არ მოჰყვა, მოკლეს. ამბის მიმტანიც მალე გამოასალმეს სიცოცხლეს.

შოთა მოწყობილი 4 თვის განმავლობაში ორჯერ შეხვდა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს. აბაშიძე საუბრის დროს შეჰპირდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა, რათა გამოძიება სწორი გზით წარმართულიყო, მაგრამ დანაპირები ვერ შეასრულა, რადგან (შოთა მოწყობილის მტკიცებით) მკვლელები ასლან აბაშიძის ცოლის ახლო ნათესავები აღმოჩნდნენ.

მკვლელობიდან 11 თვის შემდეგ, ეჭვმიტანილი მანუჩარ ვერულიძე დააპატიმრეს. მოწყობილის მკვლელობამდე მას ჩადენილი ჰქონდა კიდევ ორი დანაშაული: გაძარცვა თურქეთის ავტომანქანა და ავარიით დააზიანა მოქალაქე, რომელიც 2 თვეზე მეტ ხანს იწვა საავადმყოფოში. მაგრამ მანუჩარ ვერულიძეს სასჯელი არ მოუხდია, რადგან მამამისს, საბაჟოს უფროსს, რომან ვერულიძეს აღმოაჩნდა თანხა, ბათუმის სამხედრო პროკურატურის მოსასყიდად. ბათუმის პროკურატურამ უკანონოდ წარმოებული, დაუმთავრებელი საქმე განსახილველად ბათუმის სასამართლოს გადასცა. სასამართლომ, 1997 წლის 16 აპრილის განაჩენით, საქმე დამატებით გამოსაძიებლად ბათუმის რეგიონის სამხედრო პროკურატურას დაუბრუნა. დაზარალებულმა მხარემ, ვინაიდან ბათუმის რეგიონის პროკურატურაში ჩატარებული გამოძიება არაობიექტურად მიიჩნია, საქართველოს სამხედრო პროკურატურას სთხოვა, საქმე აჭარის რეგიონიდან გადაეგზავნა. საქართველოს პროკურატურამ დაკმაყოფილა დაზარალებული მხარის მოთხოვნა და საქმის გამოძიება საქართველოს მთავარ სამხედრო პროკურატურას დაავალა. საქმის ძიება თბილისის მთავარი სამხედრო პროკურატურის გენერალური პროკურორის ხელმძღვანელობით წარმოებს. გამოძიების გაწელვამ შოთა მოწყობილის თქმით, ჩხუბის ორ თანამონაწილეს მისცა საშუალება საზღვარგარეთ გაქცეულიყვნენ, სასჯელი რომ აეცილებინათ. ესენი არიან: თამაზ ჰასანის ძე ქათამაძე, მცხოვრები ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში და გელა მურადის ძე ათაბაძე, მცხოვრები ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში. მისი ჩვენება შეცვალეს, ჩხუბის ფაქტი საქმიდან ამოიღეს, გვარი ბერძნულად გადაუკეთეს და საზღვარგარეთ გაგზავნეს.

დაზარალებული კატეგორიულად მოითხოვს: ბათუმის სამხედრო პროკურატურის წარმომადგენლის, ვერულიძისა და მისი მოადგილის დანელიას მიმართ გამოძიების არასწორი გზით წარმართვის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, ყველა დამნაშავის დაპატიმრებას, ქობულეთის საბაჟოს უფროსის რომან ვერულიძის დაკავებას, თბილისის ციხის იზოლატორში მოთავსებას და მისი შვილის მანუჩარ ვერულიძის ბათუმის ციხიდან თბილისის ციხეში ეტაპირებას; განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებას ადვოკატის თანდასწრებით; იმ პირთა დასჯას, რომელთა პროტექტორობითაც რომან ვერულიძე ქობულეთის საბაჟოს პოლიციის უფროსად დაინიშნა. 5000 დოლარის დაბრუნებას, რომელიც რომან ვერულიძემ მოწყობილს შვილის სასწავლებელში მოწყობისთვის გამოართვა (რომან ვერულიძემ უარი განაცხადა ამ თანხის დაბრუნებაზე იმ მოტივით, რომ ეს თანხა საქართველოს პარლამენტის დეპუტატს, ჯემალ გოგიტიძეს აჩუქა). დაზარალებულ მხარეს თანხა რუსეთიდან ექსპერტის ჩამოსაყვანად, მოკლულის გვამის ეგზუმაციისათვის სჭირდება. ეკონომიურად დასუსტებული, მრავალშვილიანი, გატანჯული ოჯახი, რომელსაც შვილისათვის საფლავიც ვერ გაუკეთებია, იძულებულია, ამ თანხის დაბრუნება კატეგორიულად მოითხოვოს.

შოთა მოწყობილს ღრმად სწამს, რომ დამნაშავეთა საქმის ძიების სწორი გზით წარმართვა სხვა დანაშაულებებსაც გამოააშკარავებს. დაზარალებული მხარე თხოვნით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს, საქმით დაინტერესდეს პარლამენტი, რათა მოწყობილის ოჯახი, როგორც აჭარის ხელისუფლების მიერ დევნილი და უყურადღებოდ მიტოვებული, ლტოლვილის სტატუსით მიიღონ საქართველოს რომელიმე ქალაქში.

ნანა გურიელი, „7 დღე“

აგვისტოს თვის ჩათვლით პენსიებს გავისტუმრებთო

გუშინ სოціალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ჩატარებულ თათბირზე განიხილეს სახელმწიფო სოціალური დაზღვევის სექტემბრის თვის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის საკითხი.

გეა-ს კორესპონდენტთან საუბარში, ფონდის გენერალურმა დირექტორმა, ოთარ ხუფენიამ განაცხადა, რომ მთლიანად დედაქალაქის რაიონებში გეგმა სრულდება. კარგი მდგომარეობაა ვაკის, მთაწმინდისა და საბურთალოს რაიონებში. ამჟამად თბილისში მიმდინარეობს სექტემბრის პენსიების დაფინანსება და იგი, დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით, 26 სექტემბერს უნდა დამთავრდეს. აღნიშნულ დრომდე თბილისის რაიონებიდან ფონდში გადმოსარიცხია 1 მლნ. ლარი. რაც შეეხება პერიფერიებს, პენსიების დასაფინანსებლად შემოსულია 1006 ათასი ლარი, მაშინ, როცა საჭირო 4 მლნ ლარი. ხუფენიას თქმით, რაიონებში პენსიების დაფინანსებას აგვისტოს თვით ჩათვლით შეეცდებიან. (გეა)

ვინ არ ნავა ჯარში?

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონპროექტის თანახმად, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო, სამხედრო სამსახურიდან თავისუფლდებიან: დედისერთა წვევამდელი, ან თუ მის კმაყოფაზე იმყოფება არასრულწლოვანი ძმა, ჰყავს 20 და მეტი კვირის ორსული ცოლი, ერთი და მეტი შვილი, არის სტუდენტი, მუშაობს სოფლად მასწავლებლად ან ექიმად, არის მღვდელმსახური და, ამ ფაქტორებთან ერთად, თუ გაწვევის გადავადების უფლებას აძლევს საქართველოს პრეზიდენტი, შესაბამისი ბრძანებულებით. (გეა)

საჭიროა თუ არა მინდობილობა მანქანის მეპატრონისაგან?

პარლამენტარ კობა ამირხანაშვილის აზრით, მანქანის სხვა პირისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემისთვის მინდობილობის გაცემა მოძველებული, საბჭოური პერიოდიდან გადმოყოლილი სისტემაა.

მისი თქმით, ეს კორუფციის ერთ-ერთი წყაროა და თუ საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებს პოლიციაში კორუფციის ამ წყაროს მოსპობის სურვილი აქვთ, მინდობილობის გაცემა უნდა მოსპონ. ამ აზრს არ დაეთანხმა პარლამენტის წევრი, დავით ზეიკიძე, რომლის მიხედვით, თუ გავითვალისწინებთ დღეს საქართველოში არსებულ ვითარებას, ასეთი გადაწყვეტილების მიღება გაუმართლებელია. მისი თქმით, ასეთ შემთხვევაში ნებისმიერ ეჭვმიტანილს მანქანით თავისუფლად გადაადგილების საშუალება ექნება. ერთადერთი, ვისაც მანქანა მინდობილობის გარეშე შეიძლება გადაეცეს, არის ოჯახის წევრი, აღნიშნა დავით ზეიკიძემ. (გეა)

ქართველები

ფსიქოლოგიური ეტიუდები

„ააყირავებს ეს ათი წელი ათი ათასი წლის ისტორიას“

1979 წლის 24 ივნისი. 22 საათზე „ცხონებული“ სერგო ორჯონიკიძის ძეგლთან შეხვედრა ვთხოვე ვახტანგ როდონაიას. იმავდროულად უნდა შევხვდე ტარიელ ჭანტურიას, სულ სხვა თემაზე. ტარიელი მეუღლესთან (ქალბატონ ციალასთან) ერთად მობრძანდა. მიკითხ-მოკითხვის შემდეგ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე ჯიბიდან ვიღებ გაზეთის ყუის ნაფლეთში შეხვეულ სამკაპიკიანს. ვაწვდი ვახტანგს და ვეუბნები: ზუსტად ათი წლის წინათ შენ ამ ადგილზე, ამ საათზე მომეცი ეს სამკაპიკიანი და მითხარი, ათი წლის შემდეგ დამბრუნეო... ერთხანს გონს ვერ მივიდნენ, ეგონათ, ვხუმრობდი... – თუ არ გჯერათ, აი წაიკითხე გაზეთის ამ ნაგლეჯზე რა სწერია. ხომ არის შენი ნაწერი? ვატომ ხელი იტკიცა შუბლში და სიცილისაგან ორმეტრიანი კაცი ლამის შუაზე ორად გაიკეცა. ტარიელმა აგვხვედ-დაგვხედა, მე ხომ არ მიწყობენ იმას, სხვებს რომ ვუწყობო ხშირად... ეს იყო ასე:

1969 წლის 24 ივნისს ბეჟან აბაშიძეს ვეწვიეთ საგარეჯოში. კაი სახლ-კარი აქვს, ღვინოც კაი მაქვსო და წავედით ბეგო ბეჟუაშვილი, ვახტანგ როდონაია, დოდო რცხილაძე და მე. მთელი დღე ჭურის პირას ვსაუბრობდით, ვლიღინებდით და ღვინოსაც ბარაქიანად წავეთამაშეთ. მაშინ სად იყო ასეთი საინტერესო დრო. ვლაპარაკობდით მოსაწყენ კაცებზე: სოკრატე, პლატონი, ჰეგელი, შტაინერი, რუსთველი, ვაჟა... ფეხბურთი და დიდი საოპერო მომღერლები. მაშინ სხვა საქმე არაფერი გვქონდა: წიგნს ვყიდულობდით, წიგნს ვკითხულობდით, წიგნს ვწერდით, წიგნს ვბეჭდავდით, ლექციას ვკითხულობდით და ვქეიფობდით. დეპუტატი რა იყო, არც კი ვიცოდით, აბა! კარგა შეზარხოშებული დავბრუნდით თბილისში. მე და ვატო იმ „ცხონებულის“ ძეგლის ახლოს ვცხოვრობდით. მანქანიდან რომ გადმოვედით, კარგა ერთი საათი ვისაუბრეთ განშორების წინ ვატომ ამოიღო სამკაპიკიანი, გაზეთს ყუა მოახია (პიჯაკები მხარზე გვქონდა გადებული), ზედ წააწერა პირობის ტექსტი – ათი წლის შემდეგ ამ ადგილზე შევხვდეთ და დამიბრუნეო.

იმ ათი წლის მანძილზე ცხრა ბინა მაინც გამოვიცვალე. ბევრი ნივთიც დავკარგე. მაგრამ ჯადოსნურ სამკაპიკიანს ციური ნიაღვრიც არ მივაკარე (მოგეხსენებათ, მცირე მოცულობის საგნები: ოქრო, ბრილიანტები რა ძნელი შესანახია, გავწამდი პირდაპირ!).. აღარ მიკითხავს ვატოსთვის, შემდეგ რა ბედი ეწია სანუკვარ საგანს. თუ ის სამკაპიკიანი საბანკო ბრუნვაში დაატრიალა, კაპიტალისტი გახდება უთუოდ.

სამკაპიკიანის დაბრუნების ამ რიტუალს გაკვირვებით უყურებდა „ჩვენი სერგო“. ათი წელი ხომ ჩიტივით გაფრინდა. რა იცოდა სერგომ, ათი წლის შემდეგ როგორ ააყირავებდნენ მის ძეგლს. ახლა ელოდება ის ნაძეგლარი პოსტამენტი ახალ პოლიტიკოსს, რათა დააყირავონ შემდეგ. „ააყირავებს ეს ათი წელი ათიათასი წლის ისტორიას“. ათასწლეულის შესაყარზე, ეს ათი წელი სწორედ ასეთი მეხთატეხის ათწლედია.

როგორ შევედით კაპიტალიზმში

1973 წლის მაისი იქნებოდა. უნივერსიტეტის პირდაპირ, ახლანდელი ჩაის სახლის წინ სიყრმის მეგობარი, ინჟინერი ტუკა ჩხაიძე მხვდება. მას ასეთი ჩვეულება ჰქონდა: თუ გაქვს დრო, მელაპარაკე ნახევარი საათი (ჰონორარს რესტორნით გაგისტუმრებდა). ერთს არ შეგაწყვეტინებდა. მხოლოდ თვალებში თუ შეამჩნევდი, ახალ შეკითხვას როგორ მიუსვამდა გვერდით წინარეს. ამჯერად თვითონ შემომთავაზა საუბრის თემა: „შევარდნაძე“. ნახევარი საათი ვაქე საუბრის გმირი. შევატყვე, მაინცა და მაინც არ ესიამოვნა. მითხრა კიდეც, არ გეთანხმებიო (ტუკა ახლა საქართველოში არ მოღვაწეობს, როგორც ბევრი ჩვენი უნარიანი თანამემამულე და ამიტომ „ჩაშვება“ არ გამოდის). დამემშვიდობა უკმაყოფილოდ. უცბად ისევ მესმის მისი ხმა. მიბრუნდით ერთმანეთისკენ.

– ეს ყველაფერი კარგი, მესმის შენი, უბრალოდ, კაცური სიმპათია გაქვს, მაგრამ შენ, როგორც მეცნიერი, რას იტყოდი, როგორია შენი პროგნოზი, როგორი იქნება შედეგი?

– ოოო, ეს სხვა საკითხია.

– აბა, აბა, აბა... გაუფართოვდა თვალები.

– რას გეტყვი, იცი, ჩემო ტუკა? ნაცვლად იმისა, რომ თავით შევდიოდეთ კომუნიზმში, ტ.....-ით შევდივართ კაპიტალიზმში.

ტუკამ გადამკოცნა. რა ვიცოდი, რომ 25 წლის შემდეგ იმ უცენზურო სიტყვის შესაბამის ფენომენს, მართლაცდა თავზე მეტი პატივისცემა თუ ექნებოდა.

აი ნატვრაც

1969 წლის დეკემბრის ბოლო დღეებია. მოსკოვი. ჩემი დეიდაშვილები: დოდო პატარაია (კაცი არ გეგონოთ), მეგი აფხაზავა (ქალი არ გეგონოთ) იქაური ასპირანტებია. მეც კურსებზე გახლდით გადამწიფებულ პროფესორ-მასწავლებლებში. ჩვენი საერთო დეიდა უნდა ჩამოვიდეს ოზურგეთიდან (თბილისის მატარებლით). გავედით კურსკის სადგურში. ლამის ნახევარი ვაგონი ნინა დეიდას, მეტსახელად ჭიპუტას, პროდუქტებს უკავია. გაუწყეტია გოჭ-ინდაური გურიაში. როგორც იქნა, გადმოვცალეთ ბარგი-ბარხანა, მაგრამ ჭიპუტა თვალს ვერ აშორებს ვაგონის გამცილებელ ქალს (არ დაგავიწყდეთ, ჭიპუტას მეუღლეს შოთა ერქვა). მოგვიბრუნდა ჭიპუტა დეიდა და ალალად გვეუბნება: შეხედეთ, ერთი, რა ლამაზია ეს შეჩვენებული, მომცა ერთი ღამე შოთაიიზა, რას გავახარებდი?!

* * *

მეგის ოთახი მედვედევის ქუჩაზე ქართველების ბირჟა გახლდათ, ცხობილი იყო, როგორც სასტუმრო „გურია“. მეგის ერთი ფაშფაშა მეგობარი ჰყავდა, სახელად რიტა. ერთი პერიოდი მეგია ძალიან გახდა. რიტა კი – პირიქით. მივაკითხე ერთხელ, მეგი სახლში არ არის. კარებზე სუფთა ქაღალდია გაკრული. მადის აღმძვრელად გამოიყურება. სუფთა ქაღალდზე რაღაც სუფთა აზრი ხომ უნდა მიაწერო. მართლაცდა, საღამოს დახვდათ შემდეგი ეპიგრამა:

„გურულები ქეიფობენ,
იმღერიან რიმტი რიმტა,
ზებრასავით ჭრელ პალტოში
გულჭრიალებს მეგის რიტა,
ამ კურდღელმა ჩვენი ბიჭი
ნეკერივით გაგვიკვნიტა“.

თავისუფლება ზომ მაინც გვაქვს

შვეიკი საგიუედან გამოაგდეს. სამოთხესავით იგონებს საგიუეთის სურათებს. ვერ გამიგიაო, რატომ სწყინთ გიუებს, იქ რომ ჰყავთ დაკავებული. იქ ნება აქვთ, ტიტვლებმა იხოხონ იატაკზე, ტურებივით იჭყავლონ, მძვინვარებდნენ და იკბინებოდნენ. ასეთი რამეები ქუჩაში რომ გააკეთონ, გამვლელ-გამომვლელთ ნამდვილად გაუკვირდებათ. იქ კი ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა. იქ ისეთი თავისუფლებაა, სოციალისტებსაც კი არ მოელანდებათ. იქ შეუძლიათ თავი გამოაცხადონ ღმერთად, ღვთისმშობლად, რომის პაპად, ინგლისის მეფედ... ერთი მათგანი ამტკიცებდა, რომ დედამიწის სფეროს გულში არის მეორე სფერო, რომელიც დედამიწაზე უფრო დიდიაო. მოკლედ, შეშლილთა სახლში თითოეულს შეუძლია თქვას ყველაფერი, რაც თავში მოუვა.

მოკლედ: თავისუფლება კარგი რამეა.

ვახტანგ გოგუაძე

ქუთაისის მოსახლეობას დღეში 2 საათით მიეწოდება ელექტროენერგია

1 ნოემბრამდე ქუთაისს მხოლოდ 10 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგია მიეწოდება, დადგენილი ლიმიტის მიხედვით ქალაქს 700 ათასი კილოვატ საათი ელექტროენერგია მიეწოდება – თქვა სახელმწიფო კომპანია „საქენერგოს“ გენერალურმა დირექტორმა ვაჟა მეტრეველმა, ქუთაისის მერთან ბადრი მელქაძესთან და ქუთაისელ ენერგეტიკოსებთან შეხვედრაზე, სადაც ქუთაისის ელექტროენერგიით მომარაგებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

ვაჟა მეტრეველის თქმით, ქუთაისში მოსახლეობა ყოველდღიურად მიიღებს ელექტროენერგიას 2 საათით, ხოლო მიმდებარე რაიონები 2-3 დღეში ერთხელ.

„საქენერგოს“ გენერალურმა დირექტორმა თქვა, რომ ქუთაისში დენის მიწოდება შეუწყდება ყველას, ვინც არ გადაიხდის დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს, გადასახადის გადახდის შემთხვევაში მომხმარებელი მიიღებს დენს, მაგრამ რა რაოდენობით – მეტრეველს არ დაუზუსტებია. (პრაიმ-ნიუსი)

პრესის დღე ჯანდაცვის სამინისტროში

გუშინ გამართულ პრესის დღეზე ჯანდაცვის მინისტრმა ა.ჯორბენაძემ ეურნალისტებს გააცნო ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა.

ხაშურის რ-ნში დაფიქსირდა ადამიანის ცოფით გარდაცვალების მეოთხე შემთხვევა წლის განმავლობაში.

15 სექტემბერს საქართველოში დაიწყო წითელას მასობრივი აცრები. წელს წითელას რეგისტრირებული შემთხვევების რიცხვმა 45%-ით იმატა. შემოდგომაზე მოსალოდნელია ავადობის კიდევ უფრო მატება. მიუხედავად იმისა, რომ მასობრივი აცრების შემდეგ დიფტერიით დაავადებამ 30%-ით იკლო, კვლავაც ბევრია დიფტერიით დაავადების შემთხვევები. მის მატებას ადგილი აქვს გურიაში. დაავადებულთა ნახევარზე მეტი მოზრდილი ასაკისაა და თითქმის ყველა აუცრელი იყო. მ.წ. დიფტერიაზე აიცრა საქართველოს მოსახლეობის 83%. აღსანიშნავია, რომ დიფტერიასთან ერთად ვაქცინა შეიცავს ტეტანუსის ანატოქსინსაც. (იფრინდა)

არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების შეკრება საქართველოს პარლამენტში

„უნდა შეიქმნას სამი პარლამენტის. – წინა ორი და ამჟამინდელი პარლამენტის წარმომადგენელთა საპარლამენტო კავშირი, რაც რეალურად გამოხატავს ხალხის ინტერესებს. ეს კავშირი უნდა იყოს მუდმივმოქმედი, რეგულარული ხასიათის მქონე, სადაც უნდა გაფორმდეს სამი ხელისუფლების (მათ შორის წინა ორი ხელისუფლების) ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც დღევანდელ ხელისუფლებას არ მისცემს ხალხისათვის მიუღებელი კანონების მიღების საშუალებას“ – განაცხადა გუშინ პარტია „ლეიბორისტი“-ს ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა, მისი პარტიისა და სახალხო-დემოკრატიული კავშირის ინიციატივით მოწყობილ, პარლამენტის გარეთ მოქმედი პოლიტიკური პარტიების შეკრებაზე, რომელიც „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ კანონ-პროექტის განხილვას მიეძღვნა.

შეკრებაში მონაწილეობენ რესპუბლიკური პარტია, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, კგამსახურდიას საზოგადოება, იჭავჭავაძის საზოგადოება, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, საქართველოს კონსერვატიული ლიგა, საქართველოს მონარქისტული პარტია, „ქარტია-91“, სახალხო-დემოკრატიული კავშირი, ქართველ ნაციონალისტთა ერთობა, რუსთაველის საზოგადოება.

შეკრებაზე ყველა გამომსვლელმა უარყოფითი შეფასება მისცა აღნიშნულ კანონპროექტში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დანიშვნის პრინციპს და ყველამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებას:

ნ.კირთაძე – „მოქალაქეთა კავშირმა დღეს საბოლოო ხუნდები დაადო დემოკრატიას“.

ლ.შაკიაშვილი – „რაც დღეს გააკეთა პარლამენტმა, ამის განხორციელების უფლება მათ არ უნდა მივცეთ. უნდა დავიწყოთ ხელმოწერების შეგროვება რეფერენდუმის ჩატარებაზე და თუ ხელისუფლება ხელს შეგვიშლის, არ მოვერიდებით ქუჩის აქციებს“.

თ.ჟორჟოლიანი – „მე არ მჯერა, რომ ამგვარი შეკრებები შედეგს მოგვიტანს, მაგრამ უმოქმედობის უფლება არა გვაქვს. იმისათვის, რათა დღევანდელ ჩვენს ქმედებას აზრი მიეცეს, უნდა მივიღოთ საბოლოო დასკვნა განცხადების ან რეზოლუციის სახით“.

ი.წერეთელი – „უნდა დავიწყოთ ძველი ამბიციები, გავერთიანდეთ და გავიდეთ ხალხში, რადგან დღევანდელ ხელისუფლებას ხალხის ეშინია. არ მჯერა, რომ გავიმარჯვებთ, რადგან პარტიები ერთმანეთს დავერიეთ, რითაც კარგად ისარგებლა დღევანდელმა ხელისუფლებამ. დღეს, რადგან სხვა პარტიებიც მხარს გვიჭერენ, ერთად უნდა დავდგეთ“.

შეკრებაზე გამოცხადდა შესვენება, რის შემდეგაც მომზადდა შეკრების რეზოლუცია, განცხადება. (იფრინდა)

„ვისია ჩრდილო ქართლი?!“

„საუკუნის დიდი სამართლებრივი დანაშაული ხდება – საქართველოს ხელისუფლება დემონსტრაციულად აღიარებს სამხრეთ ოსეთს, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს, რითაც უგულვებელყოფს სამართლებრივ რეალობას“ – განაცხადა სამაჩაბლოს სამკვიდროს საბჭოს თავმჯდომარემ გელა გელაძემ გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე. მან უკმაყოფილება გამოთქვა ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაციის თაობაზე, რომელიც „ჩიბიროვის თვითმარქვია „რესპუბლიკის“ „ინფრასტრუქტურის“ აღსადგენად თანხის გამოყოფას“ შეეხება. გგელაძის თქმით, ის, რომ ოსური კრიმინალური ეთნოკრატიის დაჯგუფება რუსეთის შეიარაღებულ ძალებზე დაყრდნობით თარეშობს ცხინვალში, ჯავისა და ყორნისის რაიონებში, საქართველოს რეოკუპაციისა და შევარდნაძის მარიონეტული რეჟიმის შედეგია, ხოლო ჩიბიროვისათვის „საკონტრიბუციო“ თანხის გადაცემა, იქ ლტოლვილების დაბრუნებამდე, ტერიტორიების ძალადობით დაპყრობისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის დაშლის წაქეზებაა.

პრეს-კონფერენციის ორგანიზატორებმა წერილი – „ვისია ჩრდილო ქართლი?!“ – გაუგზავნეს გაერო-ს, ევროკავშირს, ნატო-ს, ჰელსინკის კავშირს, ეუთო-ს, საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს, რომელშიც ნათქვამია: „ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ დღეს არსებობს საერთაშორისო შეთქმულება ჩვენსა და ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ამაში განსაკუთრებით ეუთო-ს მისია სცოდავს, საქართველოს ტერიტორიული მოწყობის მისეული აბსურდული ანტიქართული „რეკომენდაციებით“. წერილის ავტორები ადრესატებს მოუწოდებენ – ნუ შექმნიან მსოფლიოს დაშლის პრეცედენტს. „საქართველოს ტერიტორიული მოწყობა უნდა დამყაროს სრულიად საქართველოს მოსახლეობის რეფერენდუმს და არა ცალცალკე ეთნიკური ჯგუფებისას“. (იფრინდა)

ცილისწამება თუ სამწუხარო სიმართლე?

ამდენი ხანია, ველოდებოდი მეც და, ალბათ, ათასობით მკითხველი თუ ჟურნალისტი, რომ ანტიკორუფციული საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბარამიძე გამოეხმაურებოდა ადვოკატ ქართლოს ღარიბაშვილის ინტერვიუს ერთ პასაჟს.

ინტერვიუ დაბეჭდილია „დილის გაზეთის“ ა.წ. 21 აგვისტოს ნომერში და ჟურნალისტის სიტყვებზე: „შალვა რჩეულიშვილის განცხადებით, ყველასთვის ცნობილი დავა ბარამიძესთან, ჩვენი გამოსვლების შედეგია. მისი თქმით, ღარიბაშვილმა არაერთხელ დაასახელა ბარამიძე, როგორც „ელიზის“ მხარდამჭერი“ – ადვოკატი პასუხობს:

„გია ბარამიძე ვალდებულია, იდგეს ელიზბარაშვილის მხარეზე! ეს რომ ასე არ არის, ბარამიძის ბრალია“.

ამ განცხადებას, წესით და კანონით, ძალიან უნდა აღეშფოთებინა ადრესატი.

როცა ვალდებულს გხდიან, იდგე ბანდიტობაში მხილებული ჯგუფის, მისი ორგანიზატორების მხარეზე, უმძიმესი ბრალდებაა.

ყველასათვის აშკარაა, თუ რატომ შეიძლება იყოს ვალდებული პარლამენტარი ბანდის ორგანიზატორთა წინაშე.

ადვოკატის განცხადება ან ცილისწამებაა, ან სამწუხარო სიმართლე.

როცა ეს აზრი ადვოკატმა ღარიბაშვილმა ადრეც გამოთქვა, იმავე ხანებში იგივე გაიმეორა ადვოკატმა რჩეულიშვილმა.

ადვოკატ ღარიბაშვილის სიტყვებს გაუყუჩდნენ, ადვოკატ რჩეულიშვილის იმ ნათქვამს კი დიდი აურზაური მოჰყვა გიორგი ბარამიძის (და მასთან ერთად მიხეილ მაჭავარიანის) მხრიდან.

გასაკვირია, რომ ერთი და იგივე თვალსაზრისის გამოთქმისათვის ერთ პიროვნებას (რჩეულიშვილს) მიაყენეს საჯარო შეურაცხყოფა და სისხლის სამართლის საქმე აღძრეს მის წინააღმდეგ, მეორეს კი (ღარიბაშვილს) მსუბუქადაც არ უსაყვედურეს.

გარდა ამისა, გიორგი ბარამიძემ იმ ხანებში მონდომებით მოჰკიდა ხელი ფირმა „ელიზის“ ქება-დიდებას და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ კონტრაბანდისტულ საქმიანობაშიც მხილებული ფირმა „ელიზი“ თურმე... კონტრაბანდის წინააღმდეგ მებრძოლი ყოფილა.

დაუმტკიცებლის დამტკიცება არასოდეს მომხდარა და ვერც ანტიკორუფციული საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ მოახერხა, მაგრამ ამჯერად ყურადღება მივაქციოთ რჩეულიშვილისა და ბარამიძე-მაჭავარიანის სასამართლო პროცესის დამთავრების შემდეგ შედგენილი შეთანხმების ტექსტის ერთ ადგილს:

„მოსარჩელენი თვითონ არიან დაინტერესებულნი იმ გარემოებებისა და პირთა გამოვლენაში, ვინც პირადი ინტერესებიდან გამომდინარე განაპირობეს ხელოვნური აზრის შექმნა, რომ თითქოს „ელიზის“ უკან დგანან მოსარჩელენი... მოსარჩელენი უკვე იღებენ ზომებს, რათა აღიკვეთოს მათი სახელის გამოყენებით გამოძიების არაობიექტურად წარმართვა და ამაში დამნაშავე პირებმა დროულად აგონ პასუხი“ (იხ. გაზეთი „რეზონანსი“ 16 აგვისტო, 1997).

არ ვიცი, რა [illegible] უკვე ბარამიძე-მაჭავარიანმა, მაგრამ ადვოკატ ღარიბაშვილის განცხადება რომ უპასუხოდ დარჩა, ფაქტია. ნუთუ „ზომების მიღება“ არ მოითხოვს ცილისმწამებლის (თუკი მართლა ცილისმწამებელია) მხილებას.

ძნელი სათქმელია, აქამდე რას ელოდება ბარამიძე, მაგრამ ახლა მაინც, ჩვენი შეკითხვის პასუხად, გამოხატოს თავისი პოზიცია ადვოკატის მიმართ, ადვოკატისა, რომელიც ადანაშაულებს, უფრო აქტიურად რატომ არ ეხმარები „ელიზს“, მის მიერ ორგანიზებული ბანდიტური თავდასხმები რატომ არ ჩაფარცხეო. აბა, ხელახლა გადაიკითხეთ მისი ზემოთდამოწმებული ფრაზები, თუ ეს აშკარად არ იგულისხმება.

ასეა თუ ისე „ვალდებულიაო“ პირდაპირ ამბობს.

ასეთ დროს დუმილი გიორგი ბარამიძის მხრიდან ნიშნავს ამ ვალდებულების აღიარებას.

ელენე ყორჩიშვილი

ჯაბა იოსელიანი: „იმელში“ მომხდარმა აფეთქებამ ხელი შეუშალა ჩემს გადაწყვეტილებას ბერად აღკვეცის შესახებ

„მე 1995 წელს მოლაპარაკებული ვიყავი შავნაბადას მოძღვარ შიოსთან და ბერად უნდა აღვკვეცილიყავი, რომ არა ცნობილი „იმელის“ აფეთქება და მასთან დაკავშირებული მოვლენები, რამაც ხელი ამაღებინა ამ გადაწყვეტილებაზე. ღმერთმა არ ქნას, რომ საქართველოში თქვენდაგვარი ბერები მოჭარბდეს, მაშინ მონასტერში ყოფნას შსს მეხუთე იზოლატორის პატიმრობა მირჩევნია“, – აღნიშნავს ბერის, გიორგი ზარზმელის ბრალმდებლური წერილის საპასუხო მიმართვაში „მხედრიონის“ ყოფილი უფროსი, ჯაბა იოსელიანი.

ბერად აღკვეცის შესახებ ჯაბა იოსელიანის განცხადებასთან დაკავშირებით პრაიმ-ნიუსმა კომენტარი სთხოვა მის საზოგადოებრივ დამცველს, გელა ნიკოლაიშვილს. (ნიკოლაიშვილმა გუშინ ინახულა ჯაბა იოსელიანი).

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა გელა ნიკოლაიშვილმა, მას ამ საკითხთან დაკავშირებით ჯაბა იოსელიანმა განუცხადა: „არ მინდა, რომ ბერად აღკვეცის სურვილი სპეკულირებად ჩამომართვან და არაჯანსაღი აჟიოტაჟი ატყდეს. ეს იყო ჩემი ღრმა სულიერი ფიქრისა და განსჯის შედეგად მიღებული მტკიცე გადაწყვეტილება. ამის შესახებ არ იცოდა არავინ, თვით ოჯახის წევრებმაც კი. შენ პირველი ხარ, ვისაც ამას გეუბნები. ჩემი სურვილის შესახებ იცოდა მხოლოდ შავნაბადას მოძღვარმა შიომ და რამდენიმე მონაზონმა. საქმე იქამდე იყო მისული, რომ მე შერჩეული მქონდა სენაკი და საუბარი მიდიოდა იმაზე, რა ნივთები უნდა წამელო მონასტერში. მე გადაწყვეტილი მქონდა, მონასტერში მემუშავა თეოლოგიურ სფეროში, შემექმნა გარკვეული ნაშრომები. „იმელში“ მომხდარი აფეთქების შემდეგ მე იძულებული ვიყავი, ამ გადაწყვეტილებაზე ხელი ამელო, რადგან ბევრი ჩვთვლიდა, რომ მე გავექეცი ჩემს წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას, რომელიც ცდილობდა მივეტმასნე ამ ტერორისტულ აქტთან“. (პრაიმ-ნიუსი)

გელა ლანჩავა „მხედრიონელებს“ ბანდიტებს ვერ უწოდებს

„ან იარაღს რატომ გვაძლევდით, ან რატომ გვაომებდით და სისხლს გვაღვრევინებდით, თუ გვაომებდით და სისხლი დაგვაღვრევინეთ, ახლა რატომღა გვიჭერთ?“, – ჰკითხა „მხედრიონელების“ სასამართლო პროცესზე მოწმედ მიწვეულმა გენერალმა გელა ლანჩავამ ამ პროცესის თავმჯდომარეს ლენგერ ბოჭორიშვილს და გაცხარებულმა დემონსტრაციულად დატოვა სასამართლოს დარბაზი.

„მხედრიონის“ უფროსის ყოფილი მოადგილის, დოდო გუგეშაშვილის, რუსთავის „მხედრიონის“ უფროსის, ზაზა პაიჭაძისა და სხვა განსასჯელების საქმე ორი თვეა მიმდინარეობს. „მხედრიონელებს“ და „მათთან დაახლოებულ 11 პირს“ წინასწარი გამოძიება ბრალად სდებს სამშობლოს ღალატს, მკვლელობებს, ყაჩაღობას, იარაღის უკანონო ტარებას და სხვა დანაშაულებს.

„მე ვერ გავიგე, რატომ დამიძახეთ ამ პროცესზე, ამ ხალხის ბრალდების შესახებ არაფერი ვიცი. თქვენ ალბათ, გინდათ ჩემგან გაიგოთ, იყო თუ არა ბანდიტური დაჯგუფება „მხედრიონი“. მე ამის თქმა არ შემიძლია“, – განაცხადა შინაგანი ჯარების ყოფილმა სარდალმა.

გელა ლანჩავას წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში აღნიშნულია, რომ ზუგდიდიდან ზვიადისტების გაძევების შემდეგ ხობში გამართულ თათბირზე ჯაბა იოსელიანმა დამსწრეებს (მათ შორის იყო სახელმწიფოს მეთაური, თავდაცვის მინისტრი და სხვა თანამდებობის პირები) განუცხადა, „სამი დღით ბიჭებს ზუგდიდი უნდა მიეცეთო“.

სასამართლო პროცესზე ლანჩავამ აღნიშნა, რომ ასეთი რამ ჯაბას არ უთქვამს, მან განაცხადა: „ბიჭები ზუგდიდში სამი დღით უნდა დავასვენოთო“. გელა ლანჩავამ მიჩნია, რომ დასვენება „მხედრიონელებისათვის“ ზუგდიდის მიცემას ნიშნავდა.

ყოფილმა სარდალმა დაკითხვის დასასრულს აღნიშნა, რომ ჯაბა იოსელიანი მის თვალწინ მკაცრად ექცეოდა „მხედრიონელებს“, რომელთაც ნაქურდალ ან ნაყაჩაღარ ნივთებს აღმოუჩენდა.

რაც შეეხება სასამართლო პროცესზე „მხედრიონის“ ყოფილი უფროსის, ჯაბა იოსელიანის დაკითხვას, სასამართლო კოლეგიამ ამის შესახებ ჯერ ვერ მიიღო გადაწყვეტილება. (პრაიმ-ნიუსი)

ეპისკოპოსმა დასწყევლა მთელი სოფელი (!)

საინფორმაციო-ანალიტიკურ ბიურო გეა-ს ზარზმის მონასტრის მრეველმა ბოლო დროს მონასტერში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით წერილით მიმართა:

შეურაცხყოფას საზღვარი არ ჰქონდა...

გვინდა კარგად გამოვთქვათ ჩვენი აზრი, მაგრამ შეუძლებელია, შეურაცხყოფის მაქსიმუმი მიღებული გვაქვს. სად გაგონილა მღვდლად მოსულმა, თითქოს მღვდელმა, ქალებს შეურაცხყოფა მიაყენოს?

ისიც კი იკადრეს, ჰუმანიტარული დახმარება გამოგზავნეს, ეგონათ ხალხი ფქვილზე გაცვლიდა მამა გიორგის, მაგრამ ეს ხალხის შეურაცხყოფა იყო, მეტი არაფერი. აი ხალხის პასუხი: „ერთი მანქანა ოქროც რომ გამოგვიგზავნონ, ჩვენ მაინც ამას ვიტყვით, დაგვიბრუნეთ მამა გიორგი. ამდენი წელი არავის გავხსენებივართ და არაფერი გამოუგზავნია ჩვენთვის პატრიარქს, ამიტომ ეს დახმარება ქრთამად ჩავთვალეთ და ამიტომაც არ მივიღეთ“. ყოველივე ამის შემდეგ, 8 სექტემბერს, პოლიციის ძალით დააპირეს ხალხის დარბევა. მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსმა აჭარელ ხალხს „თათრები“ უწოდა. ესეც არ იკმარა და დაწყევლა მთელი სოფელი. ამითაც რომ ვერ შეგვაშინა, ასე თქვა: „დუბინკებით დაგერევით, სულ ჩაგწყვიტავთ, თუ არ იკმარეთ, სოფელს ავაფეთქებთ, 9 აპრილიც მოგონებად იქნებაო“.

ბოლოს, არავითარი ქრთამი, არავითარი შიში. ხალხი რასაც ვითხოვთ შეგვისრულონ. მგონი სრულუფლებიანები ვართ, პირობას ვერავინ და ვერაფერი შეგვაცვლევინებს. დაგვიბრუნეთ ჩვენი სულიერი მოძღვარი, მამა გიორგი. იმის მაგივრად, აჭარელი ხალხის მართლმადიდებლობისკენ შემოტრიალებისთვის მამა გიორგისთვის მადლობა ეთქვათ, პირიქით ილანძღებიან. ნუ ფიქრობთ, რომ სულით დავეცემით და გაგვანადგურებთ, ჩვენ ჩვენი დამახინჯებული წარსულიც გვყოფნის და თუ კიდევ რამეს იფიქრებენ, სოფელი დამცირებას არ აიტანს. დაქადნებული „9 აპრილიც“ რომ გაგვთენდეს, უკან არ დავიხევთ არცერთი წუთით. (გეა)

სიმბოლური სიმბოლოების გაღლეკაში

ვუძღვნი მამულისათვის თავდადებული ბიჭების მეცაში გაფრენილ სულებს

თქვენ, XX საუკუნის ქართველებო! რა დაგმართეს სიმბოლოებმა, კერპებმა, ყვარყვარეებმა, სეთურებმა? ღირსნი ხართ XXI საუკუნეში შესვლისა? არ გამიკვირდება, ერთ დილას მეფეთმეფე დავითმა თავის ბედაურთან ერთად რომ მიატოვოს ყვარცხლბეკი და წყვლა-კრულვის წერილი დაგიტოვოთ თქვენ, პირადი ამბიციებით აღზვებულებს, ერთმანეთისათვის შურით მაცქერალებს, სულითა და ზნეობით დაკნინებულებს. მაგრამ, აბა, რას ვამბობ, დავითმაც რომ მიგატოვოთ, მაშინ ვისლა ამოეფარებით, ვისი იმედითღა იქნებით? ისიც კი არ იცით, რომ ეგ ძველი ისევ და ისევ სიმბოლურობის სიმბოლოა. დავითის დიდებული სული, ჩვენი წინაპრებისა და სულ ახლახანს ქვეყნისათვის დაღუპული ბიჭების სულებთან ერთად, თავზე დასტრიალებს საქართველოს და ეძებს მისთვის მყარ საყრდენს სამყაროში, რათა სხვა დიდი თუ პატარა ერივით არ გადავშენდეთ. ეს კი ნამდვილად მოხდება, თუ ყოველი ქართველი თავის მკერდზე არ იგრძნობს დავით აღმაშენებლის გულზე დადებული ლოდის სიმძიმეს, თუ ყოველი თქვენგანი არ შეიგნებს იმ ჭეშმარიტებას, რომ საქართველო მხოლოდ და მხოლოდ მაღალი ზნეობით იწყება!

...ნანი დამიკოცნე. სანდროს სურათს ეხატრობდი და ღმერთმა მოიცა. გული ჩამწყდა, სურათს რომ შევხედე. ხომ იცი, როგორ მიყვარს. სურათს ყვავილები-ხოლმე, ხომ მიხედი, რატომაც. ჩემთვის მიცვალებული არ არსებობს, ჩემთვის ყველა ცოცხალია. გკოცნით ბევრს. მე არაფერი მავიწყდება, მე ყველაფერი მახსოვს".

თამთა პოსტაევა,
ნიუ-იორკი, 1995 წლის დეკემბერი

ჩვენში, საქართველოში, დღესდღეობით მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი ამორალურს უფრო ჰგავს. რაც დრო გადის, ერი თუ ბერი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მთავრობის წევრი თუ პარლამენტარი, უფროდაუფრო შორდება ზნეობას, რაც მათი გაგებით დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის უდიდეს მოსაპოვრად ითვლება.

გურამ დოჩანაშვილისაკენ თუ ვიტყვით, ადამიანებს ცხოვრების ელემენტარული პირობებიც კი ჩამოუყალიბებიათ. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიმაძღრისაგან კი არა, უკვე შიმშილისაგან სიკვდება. სასაფლაოების გადადგადმაგადმოდმა, ზემოთ-ქვემოთ, გვერდითი ფერდობები და მიმდებარე ტერიტორიები სულ. ახლად გარდაცვლებულთა საფლავებით გავსო. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ადამიანები ამ გაუკულმართებულ და უბადრუკ ცხოვრებას თვქუდმოგლეჯილები გაურბიან და იმაზეც კი არ ფიქრობენ, ჯოჯოხეთში მოხვდებიან თუ სამოთხეში. მათთვის ეს უკვე სულერთია, იდრინდ კი აქედან ჩქარა გაასწრონ. დღეისათვის ზეიმობს და ხარობს თანამდებობრივ-ჩინოსნური ნომენკლატურა, სახელმწიფო სტრუქტურებში გამძვრალი თაღლითთა, ჩარჩ-ვაჭართა, მევახშეთა კასტა, რომელიც ყველა დროსა და ეპოქაში ახერხებდა ქაფცით ტალღის მაღლა ეტივტივა. ყოველივე ამის შემხედვარე წესიერი, პატიოსანი ადამიანების სინდისსა და რწმენას დიდი გამოიცდა ელის.

ზნეობა ისეთი განძია, რომლის ექვივალენტური სიმდიდრე სამყაროში არ არსებობს. სწორედ ამიტომაც ჩვენგან, პატიოსანი და კეთილსიდინერი ადამიანებისაგან ზნეობას ვერავინ იყიდის. ამაზე ჩვენი ქვეყნის დიდი ისტორიული წარსულის ბრწყინვალე მაგალითებიც მეტყველებენ. გამყიდველობას, ღალატს, ბორიტებასა და შურს ყოველთვის სძლევდა ვაჟკაცობა, თავდადება, ერისშვილობა, ღვთისნიერება, ზნემაღლობა და ზნეკეთილობა. სწორედ ამან გაამლებინა საქართველოს და ახლაც ისეთი ლომგული ბიჭები ჩაწვნენ მის ბალავარში, რომ ჭიანჭველა და მელიტურები მას ვერაფერს დაკლებენ. როცა ზოგ-ზოგნი ხოტბა-დიდებას ასხამდნენ კომუნისტურ წყობასა და ცხოვრების წესს, წერდნენ პოემებს პარტიასა და კომკავშირზე, სინნელეში ამყოფებდნენ ხალხს, გმობდნენ ეკლესიასა და ღვთისმსახურებას, მაშინ ჩვენ შვილებს სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ქალაქო და აფხაზეთის ომები). ამას, ყველაფერს, ისინი ახერხებდნენ თავისი გენის შეწირვის გარეშე. თავდადებული ერისშვილების სიცოცხლე კი მათ არაფრად ულირთ. დაღუპულთა ოჯახებს მადლობის წერილები დაურიგეს ტრაფარეტული ტექსტით, რომელიც ქართული სიტყვაკაზმულობის უბადლო ნიმუშს წარმოადგენს თანაგრძნობის, თანადგომის, გულისამაჩუყებელი სიტყვების კორიანტელითა და მთავრობის მეთაურის ხელისმოწერით.

ყველაფერი, ვითომ კარგი, რატომ ბრალდება ძველ თუ ახალ ფუნქციონერულ ნომენკლატურას, ცუდი კი – ეროვნულ მოძრაობას?

განა კომუნისტურმა რეჟიმმა არ მოსპო და გაანადგურა ჩვენში ყველაფერი ნათელი, წმინდა, ეროვნული? დაასაჭურისა, დააკომპლექსა, გააუკუღმართა ჩვენი აზროვნება?

განა ჩვენი ცხოვრება სიმბოლურ სიმბოლოთა გადერეად არ გადაქცია? არ დაგვიმახინჯა და დაგვიკლია ჩვენი შესანიშნავი დედაენა, არ გახადა იგი რუსულის დანამატად? არ მოგვისპო სარწმუნოება?

განა სამარცხვინოდ არ ითვლებოდა დიდი საბჭოთა ქვეყნის შემადგენლობაში მყოფი ყველა ერისა და ეროვნებისათვის თავისი სადაურობის დასახელება? მონობაში არ ამყოფა ჩვენი მამული?

განა არ გვიპირებდნენ ეროვნების, სადაურობის დავიწყებას?

სიმბოლურ სიმბოლოთა ქვეყანაში ხომ ყველაფერი გასიმბოლურებული იყო. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინი, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადები, კომუნისტური იდეოლოგიის შემქმნელი და ცხოვრებაში მისი პრაქტიკულად განმახორციელებელი ეს ტიტანები არ წარმოადგენდნენ მამის, მასწავლებლის, სიწმინდის, პატიოსნების, ყველაფერი ადამიანურისა თუ ღვთიურის სიმბოლოებს? აქედან გამომდინარე, ხომ პირდაპირ კურიოზული, სამარცხვინო, სასაცილოდ უაზრო და ალოგიკური იყო ჩვენი ცხოვრების წესი. ქვეყანა მთელი თავისი ატრიბუტიკით, დროშა, ღერბი, ჰიმნი – სიმბოლური იყო. ალბათ, გახსოვთ ნამგალი და უროო, თავისუფალ ხალხთა მძლე კავშირი ძმაური. თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი – სიმბოლური, ფეხქვეშ გათელილი.

ისე, ძველი კონსტიტუციის მიხედვით, სსრკ-დან გასვლა გინდა დილით – გაბრძანდი. ბატონო, შუადღისას – კი, ბატონო, საღამოს – ხო, ბატონო. ეს, როგორია? კაცო, პირდაპირ გასაოცარია. რატომ არ ისარგებლა საქართველომ, მისმა ცეკამ, პარტიულმა „ელიტამ" ასეთი „თავისუფალი" არჩევანის უფლებით და არ გამოიყენა ქვეყანა დიდი საბჭოთა კავშირიდან. ახლა ხომ ყველანი, ვისაც მაშინ ეკითხებოდა საქმეები საქმე და თურმე ღღეადამ ლოკულიზდა საქართველოს დამოუკიდებლობაზე, ისევ თანამდებობებზე სხედან. კარგი, მაშინ საკუთარ გვამებსა თუ ოჯახებს უფრთხილდებოდნენ. შემდეგ, როცა „ძლიერების, მშვიდობისა და თავისუფლების ბურჯმა – საბჭოთა ქვეყანამ" ნგრევა დაიწყო, მაშინ მაინც რატომ არ წამოვიდა ეს ინიციატივა მმართველი ზედაფენიდან? თუ ასეთი „ერისშვილები" იყვნენ, რატომღა დაგვატრიალეს 9 აპრილის ჯოჯოხეთური კალი? რატომ არ გამოვიდა მთელი ცეკა და მთავრობა ხალხთან იმ საბედისწერო ეამს? იმიტომ, რომ რუსის ნიჩაბი მათ ბატონობას იცავდა. ესენი ხომ იყვნენ და არიან სიმბოლური ერისშვილები, პირფერები, მლიქნელები, მარიონეტები, ნაძირალები, არაკაცები, ქართული მიწისა და სულის გამყიდველები, წინაპართა და სულ ახლახანს თავშეწირული ბიჭების საფლავების შემარცხვენელნი. ვინც ფიქრობს, რომ ეს ეპითეტები მას არ ეხება, ნურც მიიღებს თავის თავზე.

დიდი უბედურების შემდეგ ახალი ძალითა გაშალა ფრთები ხელოვნებამ, კულტურამ, მხატვრობამ და სხვა მისთანებმა, რაღაც „უაზრო თუ უმიზნო" ომმა რომ ჩამოარჩინა და უსინდისოდ ხელი შეუშალა.

გაღლეკაში

ვუძღვნი მამულისათვის თავდადებული ბიჭების მეცაში გაფრენილ სულებს

რაინდებად ვზრდიდით და ერის სამსხვერპლოზე ყველაზე ძვირფასის – სიცოცხლის მისატანად ვამზადებდით. ამას ისინი ვერასოდეს ვერ გაიგებენ, რომლებიც სიმდაბლით, გაიძვერობით, მოტყუებით, დემაგოგიითა და სხვისი სიცოცხლის ფასად მოპოვებული თანამდებობებითა და მსუყე ცხოვრებით ტკბობას არიან ჩვეულნი. ამას ყველაფერს რატომღაც თავისი ოჯახების მეშკიდრეობით ატრიბუტად თვლიან, მათი მაღალი გვამების „ხალხის საკეთილდღეოდ დიდ გარჯასა" და „ზრუნვაში" გაეუნებული ღამეების თათბირებზე, პლენუმებზე, ერილობებზე, საქმიანი იერით საკუთარი ხელმოწერების დახვწაში გატარებული დროის საფასურად მიიჩნევენ. ბა როგორ გინდათ, დრო იყო ისეთი, ისე იყო საჭირო – უსინდისოდ გვეუბნებიან და არც კი წითლდებიან. თუმცა, რას ვამბობ, გაწითლებისათვის ხომ შუბლის ძარღვია საჭირო, რომელიც მათ ბავშვობაშივე გაუწყვიტეს.

ჩვენ რომ შვილებს ეწირავდით, სად იყვნენ იქ კომუნისტური ნომენკლატურის, მთავრობისა და, მათივე თქმით, „პრივილეგირებული ელიტის" შვილები? რომელი „ელიტის", იმის, რომელიც ერის სულიერებისა და ზნეობის სასიცოცხლო ძარღვის წმინდა გრაალს უდგას დარაჯად, თუ იმისი, ვინც ერის სულიერ თუ საერო წინამძღოლობას ჩემულობს და ცდილობს უკეთური გულითა და ჭუჭყიანი ხელებით დაისაკუთროს ქვეყანა? განა ყველა არის ღირსი იყოს სამშობლოსათვის თავდადებულთა სიაში? ამას დიდი დამსახურება უნდა და თვით ის ფაქტიც, რომ მოწამებრივი სიკვდილი რჩეულთა ხვედრია, თავისთავად გამორიცხავს ყოველგვარ ალბათობას. მაშ, რაშია საქმე? ისევ ძველებურად ამაკიკიტრებივით რომ ჩაბარეს სარკვის სადაგები. შინაურულად მოტრიალდნენ ქვეყანაში, შეაბეს ხალხი დემაგოგიის ეტლში და წინ გაიერეკეს – მოლას ვირივით საკეკარაჩამოკიდებული ისევ კარგი ცხოვრების დაპირებებით. კარგ ცხოვრებამდე თვითონ ისინი და მათი ოჯახების გარდა ვინმე თუ მიაღწევს, აი ეს არის საკითხავი.

სიცოცხლის ფასად მოპოვებული ქვეყნის თავისუფლება ფასდაუდებელია. ბოლშევიკებსა და მათი ჯიშისა და ჯილაგის გამგრძელებლებს ამაზე თავისი საკუთარი შეხედულება ჰქონდათ და აქვთ. მათ შეუძლიათ ადამიანების გვამებზე გადაიარონ და ისე მიადწიონ მიზანს. ეს მათ მრავალგზის დაამტკიცეს (1917, 1921, 1924, 1937, მეორე მსოფლიო ომისშემდგომი წლები, 1956 წლის 9 მარტი, 1989 წლის 9 აპრილი, 1991–92 წლების დეკემბერ-იანვარი, 1992–93 წლების სამოქალაქო ომი). ამას, ყველაფერს, ისინი ახერხებდნენ თავისი გენის შეწირვის გარეშე. თავდადებული ერისშვილების სიცოცხლე კი მათ არაფრად ულირთ. დაღუპულთა ოჯახებს მადლობის წერილები დაურიგეს ტრაფარეტული ტექსტით, რომელიც ქართული სიტყვაკაზმულობის უბადლო ნიმუშს წარმოადგენს თანაგრძნობის, თანადგომის, გულისამაჩუყებელი სიტყვების კორიანტელითა და მთავრობის მეთაურის ხელისმოწერით.

განა კომუნისტურმა რეჟიმმა არ მოსპო და გაანადგურა ჩვენში ყველაფერი ნათელი, წმინდა, ეროვნული? დაასაჭურისა, დააკომპლექსა, გააუკუღმართა ჩვენი აზროვნება?

განა ჩვენი ცხოვრება სიმბოლურ სიმბოლოთა გადერეად არ გადაქცია? არ დაგვიმახინჯა და დაგვიკლია ჩვენი შესანიშნავი დედაენა, არ გახადა იგი რუსულის დანამატად? არ მოგვისპო სარწმუნოება?

განა სამარცხვინოდ არ ითვლებოდა დიდი საბჭოთა ქვეყნის შემადგენლობაში მყოფი ყველა ერისა და ეროვნებისათვის თავისი სადაურობის დასახელება? მონობაში არ ამყოფა ჩვენი მამული?

განა არ გვიპირებდნენ ეროვნების, სადაურობის დავიწყებას?

სიმბოლურ სიმბოლოთა ქვეყანაში ხომ ყველაფერი გასიმბოლურებული იყო. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინი, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადები, კომუნისტური იდეოლოგიის შემქმნელი და ცხოვრებაში მისი პრაქტიკულად განმახორციელებელი ეს ტიტანები არ წარმოადგენდნენ მამის, მასწავლებლის, სიწმინდის, პატიოსნების, ყველაფერი ადამიანურისა თუ ღვთიურის სიმბოლოებს? აქედან გამომდინარე, ხომ პირდაპირ კურიოზული, სამარცხვინო, სასაცილოდ უაზრო და ალოგიკური იყო ჩვენი ცხოვრების წესი. ქვეყანა მთელი თავისი ატრიბუტიკით, დროშა, ღერბი, ჰიმნი – სიმბოლური იყო. ალბათ, გახსოვთ ნამგალი და უროო, თავისუფალ ხალხთა მძლე კავშირი ძმაური. თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი – სიმბოლური, ფეხქვეშ გათელილი.

ისე, ძველი კონსტიტუციის მიხედვით, სსრკ-დან გასვლა გინდა დილით – გაბრძანდი. ბატონო, შუადღისას – კი, ბატონო, საღამოს – ხო, ბატონო. ეს, როგორია? კაცო, პირდაპირ გასაოცარია. რატომ არ ისარგებლა საქართველომ, მისმა ცეკამ, პარტიულმა „ელიტამ" ასეთი „თავისუფალი" არჩევანის უფლებით და არ გამოიყენა ქვეყანა დიდი საბჭოთა კავშირიდან. ახლა ხომ ყველანი, ვისაც მაშინ ეკითხებოდა საქმეები საქმე და თურმე ღღეადამ ლოკულიზდა საქართველოს დამოუკიდებლობაზე, ისევ თანამდებობებზე სხედან. კარგი, მაშინ საკუთარ გვამებსა თუ ოჯახებს უფრთხილდებოდნენ. შემდეგ, როცა „ძლიერების, მშვიდობისა და თავისუფლების ბურჯმა – საბჭოთა ქვეყანამ" ნგრევა დაიწყო, მაშინ მაინც რატომ არ წამოვიდა ეს ინიციატივა მმართველი ზედაფენიდან? თუ ასეთი „ერისშვილები" იყვნენ, რატომღა დაგვატრიალეს 9 აპრილის ჯოჯოხეთური კალი? რატომ არ გამოვიდა მთელი ცეკა და მთავრობა ხალხთან იმ საბედისწეროდ ეამს? იმიტომ, რომ რუსის ნიჩაბი მათ ბატონობას იცავდა. ესენი ხომ იყვნენ და არიან სიმბოლური ერისშვილები, პირფერები, მლიქნელები, მარიონეტები, ნაძირალები, არაკაცები, ქართული მიწისა და სულის გამყიდველები, წინაპართა და სულ ახლახანს თავშეწირული ბიჭების საფლავების შემარცხვენელნი. ვინც ფიქრობს, რომ ეს ეპითეტები მას არ ეხება, ნურც მიიღებს თავის თავზე.

დიდი უბედურების შემდეგ ახალი ძალითა გაშალა ფრთები ხელოვნებამ, კულტურამ, მხატვრობამ და სხვა მისთანებმა, რაღაც „უაზრო თუ უმიზნო" ომმა რომ ჩამოარჩინა და უსინდისოდ ხელი შეუშალა.

...ნანი დამიკოცნე. სანდროს სურათს ეხატრობდი და ღმერთმა მოიცა. გული ჩამწყდა, სურათს რომ შევხედე. ხომ იცი, როგორ მიყვარს. სურათს ყვავილები-ხოლმე, ხომ მიხედი, რატომაც. ჩემთვის მიცვალებული არ არსებობს, ჩემთვის ყველა ცოცხალია. გკოცნით ბევრს. მე არაფერი მავიწყდება, მე ყველაფერი მახსოვს".

თამთა პოსტაევა,
ნიუ-იორკი, 1995 წლის დეკემბერი

ჩვენში, საქართველოში, დღესდღეობით მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი ამორალურს უფრო ჰგავს. რაც დრო გადის, ერი თუ ბერი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მთავრობის წევრი თუ პარლამენტარი, უფროდაუფრო შორდება ზნეობას, რაც მათი გაგებით დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის უდიდეს მოსაპოვრად ითვლება.

გურამ დოჩანაშვილისაკენ თუ ვიტყვით, ადამიანებს ცხოვრების ელემენტარული პირობებიც კი ჩამოუყალიბებიათ. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიმაძღრისაგან კი არა, უკვე შიმშილისაგან სიკვდება. სასაფლაოების გადადგადმაგადმოდმა, ზემოთ-ქვემოთ, გვერდითი ფერდობები და მიმდებარე ტერიტორიები სულ. ახლად გარდაცვლებულთა საფლავებით გავსო. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ადამიანები ამ გაუკულმართებულ და უბადრუკ ცხოვრებას თვქუდმოგლეჯილები გაურბიან და იმაზეც კი არ ფიქრობენ, ჯოჯოხეთში მოხვდებიან თუ სამოთხეში. მათთვის ეს უკვე სულერთია, იდრინდ კი აქედან ჩქარა გაასწრონ. დღეისათვის ზეიმობს და ხარობს თანამდებობრივ-ჩინოსნური ნომენკლატურა, სახელმწიფო სტრუქტურებში გამძვრალი თაღლითთა, ჩარჩ-ვაჭართა, მევახშეთა კასტა, რომელიც ყველა დროსა და ეპოქაში ახერხებდა ქაფცით ტალღის მაღლა ეტივტივა. ყოველივე ამის შემხედვარე წესიერი, პატიოსანი ადამიანების სინდისსა და რწმენას დიდი გამოიცდა ელის.

ზნეობა ისეთი განძია, რომლის ექვივალენტური სიმდიდრე სამყაროში არ არსებობს. სწორედ ამიტომაც ჩვენგან, პატიოსანი და კეთილსიდინერი ადამიანებისაგან ზნეობას ვერავინ იყიდის. ამაზე ჩვენი ქვეყნის დიდი ისტორიული წარსულის ბრწყინვალე მაგალითებიც მეტყველებენ. გამყიდველობას, ღალატს, ბორიტებასა და შურს ყოველთვის სძლევდა ვაჟკაცობა, თავდადება, ერისშვილობა, ღვთისნიერება, ზნემაღლობა და ზნეკეთილობა. სწორედ ამან გაამლებინა საქართველოს და ახლაც ისეთი ლომგული ბიჭები ჩაწვნენ მის ბალავარში, რომ ჭიანჭველა და მელიტურები მას ვერაფერს დაკლებენ. როცა ზოგ-ზოგნი ხოტბა-დიდებას ასხამდნენ კომუნისტურ წყობასა და ცხოვრების წესს, წერდნენ პოემებს პარტიასა და კომკავშირზე, სინნელეში ამყოფებდნენ ხალხს, გმობდნენ ეკლესიასა და ღვთისმსახურებას, მაშინ ჩვენ შვილებს სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ

ჯემალ შაიმჯელაშვილი

გაგრძელება იქნება

იყიდეთ, იყიდეთ, რამე...

ბინები

იყიდება მთის ძირის დასახლებაში კაპიტალური 2 სართულიანი სახლი მანსარდით, დამხმარე სათავსოებით. 7 მეასედი მსხმოიარე ბალით, ელექტროობით, სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 3500$ ტელ. 63–63–25 ჰანრი; 67–59–08 დავითი

იყიდება 3 ოთახიანი იზოლირებული ბინა ყიფიანის ქუჩაზე. საერთო ფართი 115 კვ.მ, ჭერის სიმაღლე 4 მ, ბელეტაჟზე. სადარბაზოდან შესასვლელი. ავტოსადგომით, ორი სარდაფით, კაკლის კარადებით. ფასი 32000 დოლარი. ტელ. 99–01–71

ვყიდი (შეიძლება გაქირავებაც) ერთოთახიან, არასტანდარტულ იზოლირებულ ბინას. დიღმის მასივი, ბაზართან. მე-16 სართულზე, საწყისი ფასი 7000$ ტელ. 39–84–42

იყიდება ერთოთახიანი ტიპიური ბინა მაღალ ბელეტაჟზე ტელეფონით, სარდაფით. მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი 8000$ ტელ. 98–12–66

იყიდება ორსართულიანი კერძო სახლი ხეხილიანი ეზოთი, ახტალის ქუჩა №6 ფასი 5500$ გაფორმებით. ტელ. 32–62–04 თამაზი

იყიდება 1 ოთახი დახურული შუშაბანდით, საერთო ფართი 24 კვ.მ, ტელეფონით, სარდაფით, იტალიური ეზოს III სართულზე, მეტრო „მარჯანიშვილთან“. ფასი შეთანხმებით. ტელ. 23–09–91

იყიდება ორსართულიანი კერძო ბინა ნაძალადევის რ-ნის სამხედრო კომისარიატთან. საცხოვრებელი ფართი 110 კვ.მ, ხეხილის ბაღით, ავტოფარეხით, ტელეფონით. სახლი მდებარეობს დამრეცზე. საწყისი ფასი 25000$ მის. მაღაროს ქ.№26 ტელ. 66–35–45 მამუკა ბერიძე

ქირავდება

ქირავდება ერთოთახიანი ან ოროთახიანი ბინა საოფისედ. პრესტიჟულ ადგილზე, მთაწმინდის რაიონში, კინოთეატრ „რუსთაველის“ გვერდით. ტელ. 98–66–06

ვაქირავებ ერთოთახიან კომუნალურ (18 კვ.მ.) ბინას სამზარეულოთი და ტელეფონით. უნივერსიტეტის V კორპუსთან. ფასი 60$ ტელ. 23–02–28

სხვადასხვა

იყიდება 40 ლიტრიანი უცხოური სტერილიზატორი, ფასი 350$ ტელ. 96–59–82

იყიდება პიანინო „კრასნი ოქტიაბრი“ კარგ მდგომარეობაში. ფასი 300 ლარი. ტელ. 96–59–82

იყიდება ახალი ავტომანქანა „გაზ ხიდი სამგზავრო ფასი 10000$ ტელ. 877–40–22–77

იყიდება პოლონური კობალტის უხმარი ექვსკაციანი სადიღის სერვიზი. ფასი 500$ ტელ. 22–17–51

იყიდება სამზარეულო კომბაინი, გერმანული, გაუხსნელი. ფასი 130 დოლარი. ტელ. 22–17–51

იყიდება რუმინული კედელი „მირელა“, სამეულით, მაგიდით და ექვსი სკამით. შესაძლოა ცალ-ცალკე გაყიდვა. ტელ. 63–73–54

იყიდება გერმანული ჩაის და სადილის ერთნაირი სერვიზი 6 კაცზე. ფასი 900$ ტელ. 22–17–51

თუ გინდათ, რომ სახე გქონდეთ ელასტიური, გამოიყურებოდეთ ახალგაზრდულად და უშველოთ თქვენს დანაოჭებულ კანს, დაგვირეკეთ ტელ. 98–66–06

იყიდება ოთხი ცალი კოპიტის ახალი კარი. ფასი 400 ლარი. ტელ. 38–00–92

იყიდება სამეული კარგ მდგომარეობაში (რბილი); იყიდება როიალი ტელ. 62–42–20

იყიდება ახალი არაბული წარმოების სამეული ანტიკვარულ სტილში. ფასი 800$ ტელ. 95–87–11; 61–25–48

იყიდება სეიფი (რკინის კარადა), ფასი 100 ლარი. ასაწყობი ბუხარი, ფასი 200$ ბაზალტის ფილები 1 კვ.მ-ის ფასი 25 ლარი. ტელ. 32–62–04 თამაზი

იყიდება წიგნები:

თამარ პაპავა – „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ – გამოიცა 1937 წ. პარიზში.

ქეთევან ნუცუბიძე – შალვა ნუცუბიძე 35 სურათი

პარმენ მარგველაშვილი – დავით კაკაბაძის არქივიდან 20 სურათი.

ალექსანდრე სიგუა – ქართული ხელოვნების მოღვაწენი 16 სურათი

ლადო ასათიანი– რჩეული.

იყიდება აგრეთვე სხვა წიგნებიც. ტელ. 60–84–09 შალვა

ვამზადებ

მოვამზადებ დაწყებითი კლასის ბავშვებს გერმანულ ენაში, შინ მისვლით. ფასი 15 ლარი. ტელ. 98–60–69

ვამზადებთ სკოლის მოსწავლეებს და აბიტურიენტებს ისტორიაში. ტელ. 98–66–06

ვამზადებ ქიმიაში ქართულ, რუსულ, გერმანულ ენაზე. ტელ. 60–49–48

ვამზადებ ინგლისურ ენაში მოსწავლეებს. ვცხოვრობ გოგებაშვილზე. ფასი 20–25 ლარი. ტელ. 23–39–38 თეა

შიქრია მელაძეს!

გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს. გისურვებთ ბედნიერ და ლამაზ მომავალს.

ნათია, მაკო და მანანა დეიდა

სააქციო საზოგადოება „ოქროს თასის“ ოფისში გაიმართება აქციონერთა საერთო კრება ამა წლის 19 სექტემბერს 12 საათზე.

მისამართი: ქ.თბილისი, ლესელიძის ქ.28

„ოქროს თასის“ დირექცია



კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი „მზიური“ გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე

- თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში
- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ.

მისამართი: იჭავჭავაძის I ჩიხი, №37 („მზიურის“ ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან) ტელ. 29–48–61; 23–53–17; 29–48–60 ფაქსი 29–49–61

AUDIT

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

ლიცენზირებულია №091

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება. 2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები. 3. ქონების შეფასება. 4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93–15–89

ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს

დაგვირეკეთ: 93-18-41

ერთვნული ინფორმაციები

აი, ასეთი ‘კაცია’ უნ ლუკაშენკო

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესსამსახურმა გავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ბელორუსიის პრეზიდენტმა, ალექსანდრ ლუკაშენკომ პრაქტიკულად უგულებელყო პრეზიდენტ ბორის ელცინთან ჩატარებული მოლაპარაკებების დროს მიღწეული შეთანხმებები, რაც ბელორუსლიტვის საზღვარზე უკანონოდ დაკავებული მოსკოველი ჟურნალისტის ალექსანდრ შერემეტის პასუხისგებაში გადაცემაში გამოიხატა.

როგორც ცნობილია, შერემეტი დაკავებულია ბელორუსის სამართალდამცავი ორგანოების მიერ, ხოლო პრეზიდენტმა ლუკაშენკომ ბორის ელცინის მოწოდება ჟურნალისტის გათავისუფლების შესახებ რეაგირების გარეშე დატოვა. პრესის წარმომადგენელთათვის მიცემულ ინტერვიუში ელცინმა აღნიშნა, რომ მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობს იმის პრეცედენტი, რომ ორ პრეზიდენტს შორის მიღწეული შეთანხმება რომელიმე მათგანს დაერღვიოს. (გეა)

შემოვლითი ნავთობსადენი

რუსეთის ფედერაციის პირველმა ვიცე-პრემიერმა ბორის ნემცოვმა განაცხადა, რომ ბაკო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენის ჩეჩნეთის მონაკვეთის აღდგენისათვის გამოყოფილი თანხის ნაწილი დღეს უკვე გადაირიცხა ჩეჩნეთში.

მაგრამ მანვე აღნიშნა, რომ ჩეჩნეთის შემოვლითი ხაზის მშენებლობისათვის მზადება ჩვეულებრივ ტემპში მიმდინარეობს. ნემცოვის თქმით, ეს შემოვლითი ხაზი აუცილებელია დასაზღვევად, მით უმეტეს ისეთ რაიონში, როგორიც ჩრდილოეთ კავკასიაა. ამასთანავე, ჩეჩნეთზე გამავალი ხაზი, როგორც ნემცოვმა აღნიშნა, უფრო ნაკლებგამტარუნარიანია, რადგან 21-ე საუკუნისათვის დაგეგმილია წელიწადში 20–25 მილიონი ტონა ნავთობის ტრანსპორტირება, რაც ამჟამად არსებული ნავთობსადენით შეუძლებელი იქნება. აზერბაიჯანული ნავთობის ტრანსპორტირების საკითხზე ისაუბრა აგრეთვე გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის ფედერაციის მთავრობის აპარატის ხელმძღვანელმა იგორ შაბდურასულოვმა. მისი თქმით, შემოვლითი ნავთობსადენის მშენებლობა პოლიტიკური საკითხი კი არ არის, არამედ მას ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. (გეა)

სანეგროებს თურმე არ იხდიან

გუშინ ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის 52-ე სესია გაიხსნა.

ასამბლეის მონაწილენი ძირითადად გაეროს რეფორმირებისა და ამ ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის საკითხებს განიხილავენ. აღსანიშნავია, რომ გაეროს წევრი 185 ქვეყნიდან საწევრო გადასახადი მხოლოდ 90-მა სახელმწიფომ გადაიხადა. (გეა)

დააკავეს ოთხი ტერორისტი

გუშინ პალესტინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს ოთხი ტერორისტი, რომლებიც პალესტინის ავტონომიის ლიდერ იასირ არაფატზე თავდასხმას გეგმავდნენ.

ვარაუდობენ, რომ დაკავებულებს დავალება მისცა საერთაშორისო ტერორისტმა აბუ ნიდალმა, რომელიც არაფატის მკვლელობისათვის ტერორისტებს 40 ათას დოლარს დაპირდა. (გეა)

ეს ზამთარი თბილი იქნება, ისევ უფლის იმედზე თუ ვიქნებით, თორემ...

ბუშინ მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნა დედამიწის ოზონის ფენის დაცვის დღე. ამის თაობაზე გეა-ს კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს ჰავის შეცვლის ეროვნული პროგრამის კოორდინატორს, თენგიზ გზერიშვილს:

– დედამიწის ოზონის ფენის დაცვის პრობლემა, გაეროს გლობალური ეკოლოგიური ფონდის 4 ძირითად პროგრამაში შედის, მასზე 500 მლნ აშშ დოლარია გამოყოფილი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს პროგრამები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რადგან დედამიწის ოზონის ფენის მდგომარეობა უშუალოდ მოქმედებს ჰავის შეცვლაზე, ბიოლოგიური სახეობების შენარჩუნებაზე, წყლის რესურსების მდგომარეობაზე.

ოზონის დაცვის პროგრამის შემუშავება 1992 წლის მსოფლიო კონვენციასთან შეთანხმებით განხორციელდა (საქართველო კონვენციას 1994 წელს შეუერთდა), საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც ოზონის ფენის პრობლემის შესწავლაზე იმუშავებს.

თუ ჰავის შეცვლაზე მოქმედი ფაქტორები მუდმივი კონტროლის ქვეშ იქნება, უფრო მეტი სიზუსტით შეიძლება ამინდის პროგნოზირება. სხვადასხვა მონაცემების შეჯამების საფუძველზე ჩვენმა დეპარტამენტმა შეძლო 1 წლის წინ ეწინასწარმეტყველა შედარებით თბილი ზამთარი და წვიმიანი ზაფხული. ამინდის ასეთმა ცვლილებამ უარყოფითად იმოქმედა კავკასიონის ყინულოვანი საფარის დნობაზე, რამაც მთის მდინარეების ჩამონადენის მოცულობაზე იქონია გავლენა. შესაბამისად, იმოქმედა წყალსაცავებში წყლის დონეზე. აღნიშნულის შედეგად ჰესები სიმძლავრის ნაკლებობას განიცდიან და მოსახლეობას ელექტროენერგია ზაფხულში და შემოდგომაზე გრაფიკით მიეწოდება. ერთადერთი, რითიც შემძლია დავაწყნარო მოსახლეობა ისაა, რომ ეს ზამთარიც თბილი იქნება და გათბობისათვის დიდი ენერგია არ დაიხარჯება.

გაეროს გლობალურმა ეკოლოგიურმა ფონდმა 25 ათასი დოლარი გამოყო ჩვენი რესპუბლიკის ჰავის შეცვლის შესწავლაზე, რაც. მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო მთელ პლანეტაზე კლიმატის შეცვლის პროგნოზირებისთვის, არამედ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავებისთვის. (ბეა)

დაასწავლეთ გავშვებს ახალი სახელმწიფო — მეათე ბლოკი, მეცხრეს მაგივრად

„მე-10 ენერგობლოკის სრული ამოქმედების შემთხვევაში, მომავალი წლიდან მოსახლეობას ელექტროენერგია დღეღამეში 16 საათის განმავლობაში მიეწოდება“, – უთხრა პრაიმ-ნიუსს სახელმწიფო კომპანია „საქენერგოგენერაციის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი ბადურაშვილმა.

მისი თქმით, მსოფლიო ბანკმა საქართველოში მე-10 ენერგობლოკის სრული რეაბილიტაციისათვის 52 მილიონ 300 ათასი დოლარი გამოყო.

მსოფლიო ბანკმა კონკურსი მოაწყო საქართველოში მე-10 ენერგობლოკზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად, – თქვა ბადურაშვილმა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ გერმანული ფირმები „simens “-ი, „ABB “, „KAB “. ტენდერში გამარჯვებული ფირმა „KAB “ მე-10 ბლოკის სრულ რეაბილიტაციას ოქტომბრის შუა რიცხვებში იწყებს. მე-10 ბლოკის აღდგენა მომავალი წლის პირველი დეკემბრისთვის უნდა დასრულდეს.

ბადურაშვილი გამორიცხავს კორუფციის ელემენტებს, რადგან, მისი თქმით, მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი თანხა ბანკის ანგარიშზეა და სამუშაოების დასრულების შემდეგ გადაეცემა სამუშაოს შემსრულებელ ფირმას.

„მე ვთხოვე ტენდერში გამარჯვებულ ფირმას, რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი კადრი დაესაქმებინა, რაზეც ფირმამ თანხმობა გამოთქვა“ – თქვა ბადურაშვილმა. მისი თქმით, მეათე ენერგობლოკის აღდგენით სამუშაოებზე 300–400 ადგილობრივი მუშა დასაქმდება, რომელთა ხელფასი თვეში 200–300 ლარს შეადგენს.

გენერალურმა დირექტორმა თქვა, რომ მსოფლიო ბანკმა კრედიტის სახით 52 მილიონი დოლარი გამოყო წლიური 0.7 პროცენტით. პროცენტის გადახდა საქართველომ 12 წლის შემდეგ უნდა დაიწყოს.

ბადურაშვილის თქმით, „თბილსრესი“ საბჭოთა პერიოდში დღეში 1800 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებდა, მაგრამ ფინანსურმა პრობლემებმა თანდათანობით მწყობრიდან გამოიყვანა სისტემა და ძველი 8 ბლოკიდან დღეისათვის მხოლოდ 3 ბლოკია მოქმედი. აქედან ორი შეკეთების პროცესშია, მესამეზე კაპიტალური რემონტი მიმდინარეობს.

მომავალი ზამთრის განმავლობაში სამი 150 მეგავატი სიმძლავრის აგრეგატი და ერთი 300 მეგავატიანი სიმძლავრის მე-9 ენერგობლოკი იმუშავებს, რომელიც შარშან გერმანულმა ფირმამ „simens “-მა აღადგინა და ამჟამად, მზად არის საექსპლუატაციოდ. „ამ ზამთარში ძირითადად სწორედ მე-9 ბლოკის იმედად ვართ“, – თქვა ბადურაშვილმა.

მისი თქმით, „თბილსრესში“ მიმდინარე წელს თუ საწვავის პრობლემა მოიხსნება, გასულ წელთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უკეთესი ზამთარი იქნება. ბადურაშვილის თქმით, 13 დღის საკმარ საწვავს 5 მილიონი დოლარი სჭირდება.

„ჯერ არ არის გარკვეული როგორი გრაფიკით მიეწოდება წელს მოსახლეობას ელექტროენერგია, ამისათვის უნდა ვიცოდეთ რამდენი გვექნება ფული დიზელის საწვავისა და გაზის შესაძენად“, – აღნიშნა ბადურაშვილმა. მისი თქმით, თუ მოსახლეობა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს გადაიხდის, მიმდინარე წელი გაცილებით უკეთესი იქნება. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს მოსახლეობის მხოლოდ 40 პროცენტი იხდის.

ქალაქის მერიამ გარკვეული თანხა გამოყო მაგნიტური ბარათების დასამზადებლად, რომელიც ანგარიშსწორების საშუალება იქნება მოსახლეობასა და „საქენერგოს“ შორის – თქვა ბადურაშვილმა. მისივე ცნობით, მსგავსი ბარათები 2–3 ათასი ოჯახისთვის გაკეთებულია და უკვე ხმარებაშია გაშვებული. აღნიშნულ ბარათებზე მუხტების დაცლის შემდეგ, რომელიც ბანკში დახარჯული ენერგიის საფასურის გადახდის მიხედვით იმუხტება, მოქალაქეს შეუწყდება ელექტროენერგიის მიწოდება მისი საფასურის გადახდამდე. (პრაიმ-ნიუსი)

რედაქციისაგან: ამ ცნობამ კარგ გუნებაზე დაგვაყენა. კაი ვრცელი კომენტარის გაკეთებას ვაპირებდით, მაგრამ დროზე მივხვდით, რომ ყოველგვარი კომენტარი უაზრო. უბრალოდ, წაიკითხეთ და ისიამოვნეთ. კეთილი იმედები დადებითი ემოციების საფუძველია: „ნეტარ არიან...“

კომენტარი კი, ვისაც უნდა, იმან გაუკეთოს, აქტიური დასვენების მიზნით.

კროსვორდი



თარაზულად: 1. ძველ.აღ-ის VII საუკუნის საქართველოში დაარსებული ბერძნული ახალშენი; 5. ფარაონის აკლდამა ძველ ეგვიპტეში; 7. ქართული ღვინო; 10. ბგერათა გარკვეული თანმიმდევრობით შექმნილი მუსიკალური მთლიანობა; 11. დაბალი ჩინის სამხედრო პირი მეფის რუსეთში; 12. თავისებური გამოთქმა, რომლის მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს; მაგ.სიტყვას ბანზე აგდებს; 14. ქვა, რომელსაც აქვს თითქოს ადამიანის ხელით გამოყვანილი კიდეები, პირველყოფილი ადამიანის იარაღი; 16. დიდი ციმბირული ირემი; 18. ქართული გვარი; 22. ფორმის შარვლის გვერდის ნაკერზე დაყოლებული ფერადი ზოლი; 24. მდინარის კალაპოტის კლაკნი; 26. სოკოს ქსელი; 27. მხარე, მიდამო; 29. სახსრებისა და ქსოვილების ქრონიკული დაავადება; 30. აზნაურის ტიტული საფრანგეთში, ინგლისსა და ზოგ სხვა ქვეყანაში; 31. ქართული ჭიდაობის ილეთი; 33. ფრანგი სპორტსმენი – ავტომრბოლი; 35. ფრინველი; 36. ანტიკურ ქვეყნებში საიდუმლო რელიგიური წესების შესრულება; 37. რევოლუციამდე-პოლიციის მოხელე სოფელში.

შვეულად: 1. არქიტექტურული ელემენტი; 2. ვაზით გადახურული სანრდილობელი; 3. სოფელი დას.საქართველოში; 4. ორგანიზმის შეუვალობა შხამის, სნეულების მიმართ; 5. ბევრი ენის მცოდნე; 6. მორწმუნე მოსახლეობა, რომელსაც მსახურებას უწევს ერთი ეკლესია; 8. ხშირი, დაბურული; 9. XIX ს-ის ქართველი ისტორიკოსი, ლიტერატორი, მწიგნობარი; 13. ძვირფასი თვლებით გაწყობილი თავსახვევი; 15. ანტონ ფურცელაძის ფსევდონიმი; 17. შეურიგებელი მოწინააღმდეგე; 19. გამოჩენილი ქართველი მომღერალი; 20. ქალაქი მონღოლეთში; 21. საფრანგეთის ქალაქი; 23. ერთგვარი დიდი გარეული ფრინველი; 24. მერიქიფე; 25. ყურე ატლანტიკის ოკეანეში; 28. თასი, რომელიც ყოველწლიურად თამაშდება ჩრამერიკულ ჰოკეიში; 32. მექსიკური წარმოშობის თანამედროვე ცეკვა; 34. ბიბლიური წინასწარმეტყველი.

თამუნა ესაკია

წინა ნომრის პასუხები

მიწოლილად: 2. ფარგალი; 5. ბელგია; 7. ორომტრიალი; 9. ლებარდე; 12. ჩულქი; 13. ქრიზანთემა; 14. ქქუჩა; 16. ქორფა; 17. უბრალო; 19. ათასი; 20. ბარათაშვილი; 26. კრუხი; 28. უქნარა; 29. ოოდეკოლონი; 32. კურორტი; 33. კაკალი; 34. ფუსფუსი.

მიყრდნობილად: 1. რეპეტიცია; 2. ფა; 3. რტო; 4. ლომი; 6. მიყუჩებული; 8. ლექცია; 10. ანა; 11. დათმობა; 15. წაბლი; 18. ლაკმუსი; 21. ვერიკო; 22. პირამიდა; 23. მუქარა; 24. ინა; 25. ისაკი; 27. ბლოკი; 30. დაისი; 31. ნიკეა.

იმატა ქართულ ოჯახებში ბავშვთა გაშვილებამ

ბასულ წელთან შედარებით, იმატა ქართულ ოჯახებში ბავშვთა გაშვილების ფაქტებმა. მ.წ. 8 თვეში სულ გაშვილდა 34 ბავშვი. აქედან 33 საქართველოში, ერთი უცხოეთში. 1996 წელს სულ გაშვილდა 54 ბავშვი, აქედან საქართველოში 5, უცხოეთში 9. (იფრინდა)

ბორჯომი კვლავაც სასმელი წყლის გარეშეა

„იფრინდა“-ს კორესპონდენტის ცნობით, ბორჯომის მოსახლეობას კვლავაც არ მიეწოდება სასმელი წყალი.

ჯანდაცვის მინისტრის აჯორბენაძის განცხადებით, ვიდრე სასმელი წყალი სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი არ იქნება და ცენტრალური ლაბორატორიის მიერ ხელახალი ანალიზი არ მოგვცემს დადებით პასუხს, ბორჯომის წყალსადენი ფუნქციონირებას ვერ დაიწყებს. მისი თქმით, შემოდგომაზე დამსვენებლები მოერიდებიან ბორჯომში ჩასვლას, რაც მინისტრის აზრით, გარკვეულწილად იმოქმედებს ბორჯომის ბიუჯეტზე. (იფრინდა)

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444